მიამაგრონ თეითეულ საქალაქო და რაიონულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას სამრეწველო საწარმოები, რათა სისტემატურად იქნას შესწავლილი დავადებისა და ინვალიდობის მიზეზები. შემუშავდეს და განხორციელდეს სამეურნეო, პროფესიულ რაიონიშაციებთან ერთად დავადების, ტრაემატიზმის პროფილაქტიკის ღონისძიებათან და მოწყონის სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა ამ საწარმოებში.

სისტემატურად მოისმინონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელების ანგარიშები იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნა მიღებული მუშათა შორის დავადებისა და ინვალიდობის შესამცირებლად და ინვალიდთა შრომითი მოწყობისათვის.

2. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საწარმოების, მშენებლობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს პროფესიულ რაიონიშაციებთან ერთად მიიღონ საქირო ზომები ინვალიდთა შრომითი მოწყობისათვის ექიმებისა და საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების რეკომენდაციების შესაბამის-

სად, ამასთან შექმნან იმის პირობები, რომ ინვალიდებულებები იქნან სამუშაოდ, როგორც წესი, იმავე საწარმოებში, შემზღვის მისა ინვალიდები გახდნენ; გადაიკვანონ სამეურნალო დაწესებულებათა დასკვნების თანახმად მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ივადმყოფობენ, მათი მკურნალობის დროისათვის ისეთ სამუშაოზე, სადაც შემსუბუქებულია შრომის პირობები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოაწყოს სისტემატური სამედიცინო დაკვირვებები იმ ინვალიდთა ჯანმრთელობის მდგრამარეობაზე, რომლებიც საწარმოებსა და კოლეჯეურნეობებში მუშაობენ, და დროზე აღმოუჩინოს მათ დახმარება შრომისუნარიანობის აღდგენაში. მოეწყოს სამედიცინო ინსტიტუტში და გაუმჯობესდეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში შრომისუნარიანობის ექსპერტიზის და სოციალური დაზღვევის თეორიული და მეთოდური საფუძვლების სწავლება.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების გეგმებით გაითვალისწინოს ისეთი თემების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის შრომისუნარიანობის ამაღლებასთან, შრომელთა შორის ინვალიდობის შემცირებასთან და თავიდან აცილებასთან.

ნება დახროოს, რომ დააწვინონ ავადმყოფები საქალაქო და რაიონულ საავადმყოფოებში ცალკეულ სადაც შემთხვევებში, როდესაც საჭიროა კლინიკურ-საექსპერტო გამოკვლევა, მათი შრომისუნარიანობის შეფასების მიზნით.

4. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ იმ საქალაქო (გარდა თბილისის), რაიონული, აგრეთვე ჩეხსტებლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეთი თანამდებობაზი, რომლებიც ატარებენ მუშაობას კეირაში სულ კოტა ოთხჯერ მითიც, დაკომისუებიდეს იმ კომისიებში მუდმივ სამუშაოზე მყოფი ექიმებით, ამასთან მიეცით მათ სამკურნალო დაწესებულებებში შემთავსებლობის უფლება დადგენილი წესით.

დაევალოთ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტროა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის იუტონიმიური ოლქის აღმასკომს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად, მიმღინარე წლის. 1 ავგისტომდე გადასინჯოს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შემადგენლობა და მოაწყონ სეცუიალიზებული საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიები იმ ივადმყოფთა ექსპერტიზისათვის, რომლებიც შეპყრობილი არიან ტუბერკულოზით, ფსიქიური დავადე-



ბით, სმენის ორგანოების სწავლულებითა და დეფენტებით. თავთოთა
შემოილონ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიზანით სხდომები
საწარმოებში, საბჭოთა მეცნიერებებში, დად დასახლე-
ბულ პრეტებში, მეურნალი ექიმების, საინჟინრო-ტექნიკური მუ-
შავებისა და პროფესიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების
მონაწილეობით.

5. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრიობის
ფართო მონაწილეობა საექიმო-შრომითი ექსპერტიზის და მიზე-
ზების აღმოფხერისადმი კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებათა
შემუშავებაში, რომლებიც ინვალიდობას იწვევენ, მიზანშეწონილად
ჩაითვალოს შეიქმნას მიმდინარე წლის 1 სექტემბრადე ცველა სა-
ექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიასთან საზოგადოებრივი საბჭო-
ები, რომლებშიაც შევლენ: ექიმები, სოციალური უზრუნველყოფი-
სა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშავები, პროფესიუ-
ლულ და სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

6. დავვალოთ პროფესიონალურ საოლქო საბჭოებს და რესპუბლი-
კურ კომიტეტებს კონტროლი გაუწიონ სოციალური უზრუნველყო-
ფის ორგანოებს, მთითხოვონ მათგან საექიმო-შრომითი საექსპერ-
ტო კომისიების საქმიანობის შედეგების ყოველყვარტალურად გა-
მორჩევა. უზრუნველყონ, რომ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრი-
ვი კომიტეტების კომისიებმა საპენიო საკითხებზე სამედიცინო
დაწესებულებათა მუშავებისა და საწარმოთა აღმინისტრაციის მო-
ნაწილეობით შეისწავლონ ინვალიდობის მიზეზები და შეიმუშაონ
ღონისძიებანი მათი აღმოფხერისათვის. სოციალური უზრუნველყო-
ფის ორგანოების დახმარებით სისტემატურად გაუწიონ ინსტრუქ-
ტური პროფესიონალული ორგანიზაციების წარმომადგენლებს საექი-
მო-შრომითს საექსპერტო კომისიებში.

7. დამტკიცეს დებულება საექიმო-შრომითი საექსპერტო კო-
მისიების შესახებ. იმასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაით-
ვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 აპრი-
ლის № 240 დადგენილება და მი დადგენილებით დამტკიცებული
დებულება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შესახებ,
შემდგომი ცვლილებებით.

8. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრ-
თელობის დაცვის სამინისტროებმა კონტროლი გაუწიონ ამ დადგე-

ნიღების შესრულებას და მიღებული ზომების შესახებ ჩრდილო გინონ მოხსენება მიმღინარე წლის 1 ნოემბრისათვის. გიგანტური საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილუ 3. ჩოგოვაძე.

საქართველოს პროცესაბჭოს თავმჯდომარე გ. ლელაზვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 15 ივლისი, № 464.

დამტკიცებულის
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროცესაბჭოს აქსელბლიური
საბჭოს 1963 წლის 15 ივლისის № 464
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები იმყოფებიან სოკიალური უზრუნველყოფის ორგანოების გამგებლობაში.

2. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიებს ეკისრებათ:
შრომისუნარიანობის მუდმივი ან ხანგრძლივი დაკარგვის გამორკვევა და ინვალიდობის ფარის დადგენა;

ინვალიდობის დაწყების დროის დადგენა;

შრომელთა შორის ინვალიდობის მიზეზების დადგენა;
მარჩენალის სიკედილის მიზეზების გამორჩევა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დავალებით მისი ოჯახის წევრებისათვის პენსიის დანიშნის საკითხის გადასაწყვეტად;

ინვალიდობისათვის შრომის იმ პირობებისა და ხსნითის გამორკვევა, რომლებიც მისაწვდომია მათი განმრთელობის მდგომარეობის მიხედვით; *).

*). იმ პირებს, რომელებიც ცნობილი არ არიან ინვალიდებად, დაკავებს შრომის პირობების შეცვლის შესახებ აძლევენ სამკურნალო დაწესებულებები.



ისეთ ღონისძიებათა განსახლერა, რომლებიც ხელისუფლების ინვალიდთა შრომისუნარიანობის აღდგენას (პროფესიულური მუსტახატების ბა, ხელახალი კვალიფიკაცია, აღდგენითი მკურნალობა, პროტეზი-რება და სამუშაო ხელსაწყოები, იმის გამორკვევა — სჭირდება თუ არა მოტორული, ხელით სამართავი ავტომობილი და სხვა);

უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში მომუშავე ინვალიდთა შრომის პირობების შესწავლა, ინვალიდებისათვის ხელმისაწვდომი სამუშაოს და პროფესიის გამოვლინების მიზნით, და ინვალიდთა შრომითი მოწყობის სისწორის შემოწმება;

გააცნონ სამურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ექიმებს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის პრინციპები და მეორდები;

იმის დადგენა, თუ რამდენად დაკარგული აქვთ შრომის უნარი მუშა-მოსამასახურებს ხეიბრობის ან განმრთელობის რამე სხვა დაზიანების გამო, რაც დაკარგულებულია მათ მუშაობასთან, იმის და-სადგენად, თუ რა რაოდენობით უნდა აანახლოს მიყენებული ზიანი საწარმოებშა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა.

11. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობის ორგანიზაცია და შემაღებელობა

3. შრომისუნარიანობის ექსპერტიზის განსახორციელებლად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აკტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები, ავტოთვე სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ქმნიან საექიმო-შრომითი ექსპერტიზის შემდეგ ორგანოებს:

ა) საქალაქო სარაიონთაშორისო და რაიონულ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს, რომელთა შემაღებელობაში შედიან: სამი ექიმი-ექსპერტი (თერაპევტი, ქირურგი, ნევროპათოლოგი), სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი განყოფილების წარმომადგენელი და პროფესიონალული ორგანიზაციის წარმომადგენელი, კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთ-ერთი ექიმი-ექსპერტი.

ბ) საქალაქო და სარაიონთაშორისო საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს ტუბერკულოზით დაავადებულ შრომისუნარიან პირთა ექსპერტიზისათვის. ეს კომისიები შემოწყობა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპარასერების ბაზაზე და მათს შემაღებელობაში შევლენ: სამი ექიმი-ექსპერტი (ორი ფტიზიატრი და ერთი ნევ-



როპითოლოგი), სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისობის ფილების წარმომადგენელი და პროფესიული ადგენისტების წარმომადგენელი, კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთ-ერთი ექიმი-ფტიზიატრი;

გ) საქალაქო და სარაიონთაშორისო საექიმო-შრომითს საექს-პერტო კომისიებს ფსიქიურად დაავადებულ პირთა შრომისუნარიანობის ექსპერტიზისათვის, ეს კომისიები მოეწყობა ფსიქონევროლოგიური დისპანსერებისა და საავადმყოფოების ბაზაზე და მათს შემადგენლობაში შევლენ, სამი ექიმი-ექსპერტი (ორი ფსიქიატრი და ერთი თერაპევტი), სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი განყოფილების წარმომადგენელი და პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი, კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთ-ერთი ექიმი-ფსიქიატრი;

დ) საქალაქო და სარაიონთაშორისო საექიმო-შრომითს საექს-პერტო კომისიებს იმ პირთა შრომისუნარიანობის ექსპერტიზისათვის, რომელთაც იქვთ მხედველობის ორგანოს დაავადება და დე-ფუქტები. ეს კომისიები მოეწყობა საქალაქო და სარაიონთაშორისო პოლიკლინიკების თვეალის სწეულებათა განყოფილებების ბაზაზე და მათს შემადგენლობაში შევლენ: სამი ექიმი-ექსპერტი (ორი ოქულისტი, თერაპევტი ან ნერვიოპათოლოგი), სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი განყოფილების წარმომადგენელი და პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი.

კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთ-ერთი ექიმი-ოქულისტი;

ე) საქალაქო და სარაიონთაშორისო საექიმო-შრომითს საექს-პერტო კომისიებს იმ პირთა შრომისუნარიანობის ექსპერტიზისათვის, რომელსაც იქვთ ონკოლოგიური დაავადება. ეს კომისიები მოეწყობა ონკოლოგიური დისპანსერების ბაზაზე და მათს შემადგენლობაში შევლენ: სამი ექსპერტი-ონკოლოგი (სხვადასხვა პროფილისა), სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი განყოფილების წარმომადგენელი და პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთ-ერთი ექიმი-ექსპერტი.

შენიშვნა: საქიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეუძლია მოაწყოს სხვა პროფილების სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები.



4. საქალაქო, საჩიონთაშორისო და რაიონული საექიმო-შრომის მითი საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეს და წევრებზე დაცილება ცებას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ჯანმრთელობის დაცვის სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნება ცეცხლაზე უფრო გამოცდილი ექიმი-ექსპერტი. იგი არის წამყვანი ექსპერტი კომისიაში, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ კომისიის მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის, კომისიის მიერ მიღებული დასაბუთებული იურიდიული და კლინიკურ-ექსპერტული გადაწყვეტილებებისათვის საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე მოაწყობს კომისიის მოქმედების რაიონში ინვალიდობის მიზეზებისა და დინამიკის შესწავლას, შესწავლის შედეგების შესახებ მიაწოდებს ინფორმაციის სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებს, პროფესიონალულ და სხვა ორგანიზაციებს, აწარმოებს მოსაბლეობის მიღებას შრომითი ექსპერტის საკითხებზე. მუდმივმოქმედი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე იმყოფება ძირითად სამუშაოზე ამ კომისიაში.

უფრო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის შტატში არის შედიცინის რეგისტრატორი, ხოლო იმ კომისიებში, რომლებიც ხუთ და მეტ დღეს მუშაობენ კვირაში, დამატებით დამტკიცდება უფრო სი მედიცინის დის თანამდებობა.

უფროს მედიცინის დას და მედიცინის რეგისტრატორს დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე და ისინი ძირითად სამუშაოზე იმყოფებიან ამ კომისიებში.

5. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები მოეწყობა იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ბაზაზე, რომლებშიაც მოპოვება საჭირო პირობები ვადმყოფთა ყოველმხრივი გამოკლევისათვის (ციტრო სპეციალობის ექიმები, დიაგნოსტიკური კაბინეტები, ლაბორატორიები და სხვა).

იმ სამკურნალო დაწესებულებათა ნუსხას, რომელთა ბაზაზე მოეწყობა საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, დააწესებენ საქართველოს სსრ და აეტონთმიური რესპუბლიკურის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, ჯანმრთელობის დაცვის სათანადო ორგანოებთან ერთად.



6. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები საექიმო-შრომიულის წაკუშება კერტო კომისიებს დაუთმობენ ავაღმყოფთა მისალებრივ უზრუნველყოფის ბუღ საღვმებს, უზრუნველყოფენ საჭირო სამედიცინო და სამეურნეო მოწყობილობით, ქმნიან მდ ავაღმყოფთა კულტურული მოძახურების პირობებს, რომლებიც საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში მოდიან.

7. რესპუბლიკურ და საოლქო საავაღმყოფოებში გამოიყოფა საწოლები ან მოეწყობა შრომისუნარიანობის ექსპერტიზის განყოფილებები, რომელთა ამოცანას წარმოადგენს კლინიკური დიაგნოზის დაზუსტება და ავაღმყოფის ორგანიზმის ღუნძეციების მდგომარეობის შესწავლა იმ შემთხვევებში, როდესაც განხელებულია შრომისუნარიანობის ექსპერტიზა პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ან საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში ხანმოკლე გამოკვლევის დროს.

ამ ბაზაზე მოეწყობა შესწავლა სამხარეო პათოლოგიის გავლენისა შრომისუნარიანობის მდგომარეობაზე, ქალაქებისა და რაიონების ექიმი-ექსპერტების დახელოვნება, აგრეთვე სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტებისათვის შრომითი ექსპერტიზის საფუძვლების სწავლება.

8. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების წევრების, კონსულტანტების, საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება წარმოებს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების სახსრების ხარჯება.

9. საქალაქო, საჩაოთაშორისო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები სამუშაო დღის განმავლობაში (5,5 საათი) მიიღებენ საექსპერტო გამოკვლევისათვის შრომისუნარიანობის მდგომარეობის საკითხის. გადასაწყვეტად 15 ავაღმყოფს, ხოლო სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები მიიღებენ 10 ავაღმყოფს.

ამის გარდა, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების სპეციალისტები საკონსულტაციო დახმარებას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს შრომისუნარიანობის შეფასების, შრომის იმ პირობების განსაზღვრის საკითხებზე, რომლებიც ნაჩვენებია ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

10. იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც არ არის შექმნილი სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, ტუბერკუ-



ლოზით, ფსიქიური და ონკოლოგიური სწერულებით და მიმდევრულები ბის ორგანოს დაზიანებით დაავადებულ პირთა შრომისტრინისტების ექსპერტიზას ჩატარებენ საქამარე, სარაიონთაშორისო და რაიონული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები სათანადო სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე. ამ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საექსპერტო გადაწყვეტილებანი აღნიშნულ ავადმყოფთა შრომისუნარიანობის მდგრამარეობის შესახებ ძალაში შეღისამოტანის მოემნტიდან, მაგრამ დამტკიცებულ უნდა იქნან შესაბამისი სპეციალიზებული სარაიონთაშორისო საექსპერტო კომისიის მიერ.

11. საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებთან, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან მოეწყობა შესაბამისად რესპუბლიკური და საოლქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები.

მუშაობის მოცულობის მიხედვით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეუძლია იყოლის რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ერთი ან რამდენიმე შემადგენლობა.

ეს საექსპერტო კომისიები შედგება ოთხი ექიმისაგან და წარმოადგენენ საექიმო-შრომითი ექსპერტიზის უმაღლეს ორგანოებს და შრომისუნარიანობის ექსპერტიზის მეთოდურ ცენტრებს.

რესპუბლიკური, საოლქო, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე არის რესპუბლიკის, ოლქის მთავარი ექსპერტი შრომითი ექსპერტიზის დარჩევი.

რესპუბლიკური და საოლქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეები და წევრები, ავტოოვე საშუალო მედიცინის მუშავები იმყოფებიან ძირითად სამუშაოზე ამ კომისიებში.

ვიწრო სპეციალობის კომისულტანტები და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის მეთოდების სპეციალისტები შეიძლება მოიწეონ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიებში შრომის საპოვნერიე ან აზღაურებით.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეებს, რესპუბლიკური და საოლქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების ექიმ-ექსპერტებს, კონსულტანტებს, სპეციალისტებს, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის მეთოდების სპეციალისტებს (რენტგე-

ნოლოგი, ელექტროფიზიოლოგი და სხვები) და ამტკიცებს რესპუბ-
ლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

ამ კომისიებში საშუალო და უმცროს მედიცინის მუშაქებულებები და თანამდებობიდან გაათვალისუფლებენ საექიმო-შრომითი
საესქისპერტო კომისიების თავმჯდომარები.

რესპუბლიკური და საოლქო საექიმო-შრომითი საესქისპერტო კო-
მისიები მოეწყობა შესაბამისი რესპუბლიკური და საოლქო სამკურ-
ნალო დაწესებულებების ბაზაზე, სადაც მოიპოვება საჭირო პირო-
ბები ივადმყოფთა ყოველმხრივი გამოკვლევისათვის.

საჭირო შემთხვევებში აღნიშნულ საექიმო-შრომითის საესქისპერტო
კომისიებს შეიძლება გამოყენოთ დამოუკიდებელი სადგომები,
რომლებსაც მათ დაუთმობენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობ-
რიები საბჭოები. ამ შემთხვევებში, როგორც გამონაკლისი, მომსა-
ხურე პერსონალის საშტატო განრიგი და მისი შენახვის სათანადო
ხარჯები გათვალისწინებული იქნება რესპუბლიკის სახელმწიფო
ბიუჯეტით.

რესპუბლიკური და საოლქო საექიმო-შრომითი საესქისპერტო კო-
მისიების ამოცანა:

დანერგონ საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული და სპე-
ციალიზებული საექიმო-შრომითი საესპერტო კომისიების მუშაო-
ბის პრატიკაში შრომისუნარიანობის ექსპერტიზის მეცნიერული
პრინციპები და მეთოდები, რომლებსაც შეიმუშავებენ შრომისუნა-
რიანობის ექსპერტიზის სამეცნიერო-საეკლესია ინსტიტუტები;

განახორციელონ ღონისძიებანი საქალაქო, სარაიონთაშორისო,
რაიონული და სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საესპერტო
კომისიების წევრების — ექიმ-ექსპერტების საესპერტო კვალიფი-
კაცების ამაღლებისათვის (სტაციონარი, სემინარები, სამეცნიერო-
პრატიკული კონფერენციები და სხვა);

განაზოგადონ საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული და
სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საესპერტო კომისიების შრო-
მისუნარიანობის ექსპერტიზის გამოცდილება, გამოავლინონ მათს
მუშაობაში დაშვებული საესპერტო შეცდომები და შეიმუშაონ ამ
შეცდომების ოღონფეხრისათვის საჭირო ზომები;

შეამოწმონ საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული და სპე-
ციალიზებული საექიმო-შრომითი საესპერტო კომისიების საეს-
პერტო გადაწყვეტილებათა სისწორე და დასაბუთებულობა;

საკონსულტაციო დახმარება გაუწიონ საქალაქო, სარაიონთაშო-
რისო, რაიონული და სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საეს-
პერტო კომისიების წევრებს — ექიმ-ექსპერტებს ექსპერტიზის



რთულ შემთხვევებში ადგილზე გასვლით და ექსპროტონის მიხედვით;

შეამოწმონ ის პირები, რომლებმაც გაასაჩივრეს საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული და სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებანი, იგრეოვე შეამოწმონ განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში აღნიშნული საექსპერტო კომისიების მიერ გაგზავნილი პირები;

შეამოწმონ ინვალიდები საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული და სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებათა სისწორისადმი კონტროლის წესით;

შეამოწმონ საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული და სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შემოწმების ძერების საექსპერტო გადაწყვეტილებათა სისწორისადმი კონტროლის მიზნით;

შეისწავლონ შრომელთა შორის ინვალიდობის დინამიკა და მიზეზები და შეიმუშაონ სათანადო წინადადებანი, რომლებიც მიმართულია ინვალიდობის შემცირებისაკენ;

განიხილონ საექიმო-შრომითი ექსპერტიზის სხვადასხვა საკითხები სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დაუალებით.

გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ჩესპეცბლივური და საოლქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები მიღებენ საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული და სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებებზე შეტანილი საჩივრების გამო, იგრეოვე ამ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საექსპერტო გადაწყვეტილებათა სისწორისადმი კონტროლის წესით, — საბოლოოა.

12. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები თავითი საექსპერტო სხდომების ნაწილს წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით ატარებენ მომსახურების რაიონების ქარხნებში, ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებში და სამეცნიალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. გამსვლელ საექსპერტო სხდომებში მონაწილეობას იღებენ მეურნალი ექიმები, ვიწრო სპეციალობის ექიმები, საწარმოო უბნების ხელმძღვანელები (სამქროსების უფროსები, ოსტატები და სხვები), შრომისა და კადრების განყოფილებათა წარმომადგენლები, პროფესიონალთა საფარისე, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენლები.

13. ყველა საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიათან მოეწყობა საზოგადოებრივი საბჭოები.



14. საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოებისადმი შეტყოფულები და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას განახორციელებს მარჯნის მიერ ლოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის განყოფილება.

სამინისტროს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის განყოფილება მოაწყობს შრომისუნარიანობის ექსპერტიზის პრინციპებისა და მე-თოდების სამეცნიერო-მეთოდურ დამუშავებას, უზრუნველყოფს მათს დანერგვას საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების შუშა-ობის პრაქტიკაში, კონტროლს გაუწევს საექიმო-შრომითი ექსპერ-ტიზის ორგანოების საქმიანობას, შეამოწმებს საექსპერტო გადაწყვე-ტილებათა დასაბუთებულობას.

III. შესამოწმებლად შესალებ პირთა წარ და საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში მათი გაგზავნის წესი .

15. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები შესამოწმებლად მიიღებენ:

ა) შუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებ-ზედაც ვრცელდება სახელმწიფო სოციალური დაზღვევა;

ბ) უმაღლესი და სამუალო სასწავლებლების, კადრების მოსამ-ზაღებელი სასწავლებლების, სკოლებისა და კურსების მოსწავლეებს; ასპირანტებს, ლოგიტორიანტებსა და კლინიკურ ორგანიზორებს;

გ) სხვა მოქალაქეებს, რომელთა შრომისუნარიანობა დაირღვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, ან ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, სოციალის-ტური საქუთრების დაცვის, იგრეთვე სოციალისტური მართლწესრი-გის დაცვის დროს სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის შესრუ-ლებასთან დაკავშირებით;

დ) მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც მუშაობა შეწყვიტეს, ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებსა და ამ მუხლის ან „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ პირთა ოფაზის წევრებს, რომ-ლებმაც მარჩენალი დაკარგეს, უკეთ მათ გააჩინათ ისეთი პირობე-ბი, რომლებიც განსაზღვრავენ მათს უფლებას პენიაზე;

ე) ბავშვობიდან ინვალიდებს და იმ პირებს, რომლებიც გახდნენ ხეიბრები ან გადაიტანეს ავადმყოფობა შრომითი საქმიანობის და-წყებამდე და რომლებიც საჭიროებენ შრომითს მოწყობას ან პრო-ფესიული სწავლებისათვის გაგზავნას, აგრეთვე იმ პირებს, რომლებ-



საც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები გზაუნიტერიფიციულია
თა სახლებსა და ინტერნატებში; გიგანტური

ე) ინვალიდებს, მორიგი შემოწმებისათვის;

ს) არამომუშავე პენიონერთა ოჯახის წევრებს, პენიონების დანამატის დაწესების მიზნით;

თ) მუშებსა და მოსამსახურებს, რომლებიც ხეიბრები გახდნენ
ან რომლებსაც შერყეული აქვთ ჯანმრთელობა, ჩაც დაკავშირებუ-
ლია მათ მუშაობასთან, შერომისუნარისანობის დაკრევის ხარისხის
დასადგენად იმ მიზნით, რომ საწარმოებმა, დაწესებულებებმა და
ორგანიზაციებმა აუნაშლაურონ მიყენებული ზიანი;

1) იმ კოლმეურნეობების წევრებს, რომლებშიც დაღვინილია წესი პენსიის დანიშვნისა ინვალიდობის ჯგუფების მიხედვით; -

ქ) იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ პენსიის მიღების უფლება და დაღვენილი წესით მიმართავენ იმისათვის, რათა დაენიშნოთ მათ დახმარება, რომლის მიღების უფლება გათვალისწინებულია ინვა-ლირობით.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები შესამოწმებლად მიღებენ აგრეთვე ხანგრძლოვი დროის განმავლობაში ავადმყოფ პირებს სამკურნალოდ დაწესებულებათა მიმართვით (არა უგვიანეს როჩი თვისა დროებითი შრომისუუნარობის დაწყების დღიდან ან არა უგვიანეს 5 თვისა საერთოდ ერთი და იგივე დაავადების დროს უკანასკნელი 12 თვეს განმავლობაში განმეორებითი დაავადებისა; არა უგვიანეს 10 თვისა ტუბერკულოზით დაავადების დროს).

16. ავალმყოფთა გაგზავნას საექიმო-შრომითს საექსპერტო კო-
მისიერბში შრომისუნარიანობის ექსპერტიზისათვის აწარმოებენ სამ-
კურნალო დაწესებულებები ავალმყოფის საცხოვრებელი აღვილის
ან სამკურნალო დაწესებულებაზე მისი მიმაგრების აღვილის მი-
ხედვით.

პასუხისმგებლობა სამედიცინო გამოკვლევის ხარისხისა და საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში იყვალმყოფთა გაგზავნის და-საბუთებულობისათვის კუსირებათ სამკურნალო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

ინვალიდები, რომელსაც სამკურნალო დაწესებულებები გზავნიან საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში ხელახლა შემოწმებისათვის, საჩვებლობენ სამკურნალო დაწესებულებაში რიგგარეშე სამეცნინო მომსახურების უფლებით.

საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში გასაგზავნ თვითონულ
ავადმყოფზე სამკურნალო დაწესებულება შეავსებს დაწესებული



ფორმის შემოწმების აქტს და გადაუგზავნის მას საექიმო-შრომისათვის
საექსპერტო კომისიის.

შემოწმების აქტში სამკურნალო დაწესებულება შეიტანს ცნობებს ავადმყოფობის შრომითი საქმიანობის შესახებ, სპეციალურ კაბინეტებსა და ლაბორატორიებში სპეციალისტი ექიმების მიერ მისი გამოკვლევის მონაცემებს, რომლებიც ასაბუთებენ ინგალიდობის ნიშნებს, კლინიკურ და შრომის პროგნოზს.

შემოწმების აქტს, რომელიც საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში იგზავნება, ხელს მოაწერენ მკურნალი ექიმი, სათანადო განკოტილების გამგე და მთავარი ექიმის მოადგილე ექსპერტისის დარგში (ან მთავარი ექიმი).

არამომუშავე პირები საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში პირველადი გაგზავნის დროს წარადგენენ დაწესებულ სამედიცინო დოკუმენტებთან ერთად სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი განკოტილების მიმართვას.

მუშები და მოსამსახურები, რომლებიც საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში იგზავნებიან შრომისუნარიანობის დავარგვის გამოსარევევად იმ მიზნით, რომ დადგენილ იქნას მიუკრებული ზიანის საზღაურის ოდენობა, წარადგენენ პირველადი შემოწმების დროს, გარდა აღნიშნული სამედიცინო დოკუმენტებისა, იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მიმართვას, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, პროფესიული კავშირის საფაზჩიკო, საქართვის ან იდგილობრივი კომიტეტის ან ჩაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს მიმართვას, იგრეთვე აქტს წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის შესახებ.

კოლმეურნეობათა წევრები, რომლებიც საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში იგზავნებიან სამკურნალო დაწესებულებების მიერ, პირველადი მიმართვის დროს აღნიშნულ სამედიცინო დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ ამონაწერს კოლმეურნეობის გამგების გადაწყვეტილებ დან იმის შესახებ, რომ მოცემულ კოლმეურნეობაში შემოღებულია საპრენიო უზრუნველყოფა.

17. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში შემოწმება წარმოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ან გამსელულ საექსპერტო სხდომებზე მუშაობის ადგილის, ან სამკურნალო დაწესებულებაზე მიმაგრების ადგილის მიხედვით. იმ პირთა შემოწმება, რომლებსაც სამკურნალო დაწესებულების დასკვნის თანახმად, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით არ შეუძლიათ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში გამოცხადება, წარმოებს სახლში ან სამკურნა-



ლო დაწესებულებაში ავადმყოფის ადგილსამყოფელის, მიწოდებულის და დაწესებულ შემთხვევებში საექიმო-შრომითი საექსპერტოა მოწოდება სიის გადაწყვეტილება სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა შრომისუნარიანობის მდგრძალების შესახებ გამოიტანება დაუსწრებლად. შემოწმების იმ აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მკურნალი ექიმი და სამკურნალი დაწესებულების მთავარი ექიმი.

18. იმ პირთა მიმართ, რომელიც ცხოვრობენ შორეულ და ძნელადმისასვლელ პუნქტებში, რომელთა სიებს ამტეკიცებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან შესაბამისი ავტონომიური ოებულებლივების მინისტრთა საბჭოები, სამსახურთ თავითის საოლქო აღმასკომი, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელიც იმყოფებიან ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში საზღვარგარეთ ან აღნიშნულ შორეულ და ძნელადმისასელელ პუნქტებში, საექიმო-შრომითის საექსპერტო კომისიის უფლება აქცს გამოიტანოს გადაწყვეტილება შრომისუნარიანობის მდგრძალების შესახებ დაუსწრებლად, შემოწმების აქტების, ავადმყოფის ისტორიიდან დაწერილებითი ამონაწერების და ექსპერტიზისათვის საჭირო სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილია მკურნალი ექიმის და სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ.

IV. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობის წესი

19. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის წევრები პირადად ახდენენ შრომისუნარიანობის ექსპერტიზისათვის გაგზავნილი ოვითეული ავადმყოფის სამედიცინო შემოწმებას, რისთვისაც წინასწარ სწავლობენ სამკურნალო დაწესებულებიდან შემოსულ სამედიცინო დოკუმენტებს. გადაწყვეტილება შრომისუნარიანობის მდგრძალების შესახებ მიიღება მას შემდეგ, რაც მოხდება საექსპერტო შემოწმების შედეგების კოლეგიური განხილვა სამკურნალო დაწესებულებათა მონაცემების, ავადმყოფის პროფესიისა და იმ სამუშაოს ხასიათის გათვალისწინებით, რომელსაც იგი ასრულებს.

საექსპერტო შემოწმების მონაცემები და საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილება შეიტანება შემოწმების აქტში, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი.

უკეთ კომისიის თავმჯდომარე ან ცალკეული წევრები არ ეთანხმებიან კომისიის სხვა წევრების აზრს, შემოწმების აქტში შეიტანე-



ბა მათი განსაკუთრებული აზრი. ამ შემთხვევაში შემოწმებული და მომდევ გადაში გავეგზავნება დასამტკიცებლად რესპუბლიკური და საოლქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიებს, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში გამოუძახონ ავადმყოფს შესამოწმებლად.

ცნობები ავადმყოფის შრომითი საქმიანობის, შრომის პირობებისა და იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც იყი ასრულებს, დაზუსტდება საექსპერტო შემოწმების პროცესში; კალკაულ შემთხვევებში ეს ცნობები გამოიხოვილი იქნება ავადმყოფის მუშაობის ადგილიდან.

20. ყველა შემთხვევაში, როდესაც იგადმყოფი გავზავნილია საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიაში დაუსაბუთებელი კლინიკური დიაგნოზით, რაც აძნელებს შრომისუნარიანობის მდგომარეობის შესახებ საექსპერტო გადაწყვეტილების გამოტანის, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია ავადმყოფს გავზავნის სამკურნალო დაწესებულებაში დამატებითი გამოკვლევისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევებში მოითხოვს ავადმყოფის მოთავსებას სტაციონარული გამოკვლევისათვის დიაგნოზისა და ორგანიზმის ფუნქციების მდგომარეობის დასახუსტებლად.

21. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები საექსპერტო შემოწმების პროცესში თვითეულ შემთხვევაში განსაზღვრავენ ავადმყოფობისათვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით მისაწვდომ შრომითი საქმიანობის სახეობებს და შრომის პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ორგანიზმის დარღვეული ფუნქციების აღდგენას და ინვალიდობის ლიკვიდაციას.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ნაჩვენები შრომითი საქმიანობის სახეობისა და პირობების შესახებ უნდა იყოს კონკრეტული, რაც ხელს შეუწყობს ინვალიდის სწორ შრომითს მოწყობას.

უკეთს ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით საჭიროა შრომითი დატვირთვის შემცირება; საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები იმდევნის დასკვნას მუშაობის შემსუბუქებული პირობების შექმნის შესახებ.

22. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებანი ინვალიდთა შრომის პირობების შესახებ საეალდებულოა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეტრნეობების ხელმძღვანელებისათვის.



საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობის უფლება სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანებელი მოვალენი აზრის შემთხვევაში შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნების შესაბამისად, მისცენ სამუშაო ინვალიდებს იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, სადაც ისინი ინვალიდობამდე მუშაობდნენ.

23. ინვალიდთა შრომის იმ პირობების უზრუნველყოფისაღმი კონტროლს, რაც დადგენილია საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ, განახორციელებდნ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების წევრები, აგრეთვე შესაბამისი სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების (მედისანნაშილი, განმრთელობის დაცვის პუნქტი და სხვა) მედიცინის მუშავები პროფესიონალი ორგანიზაციების მონაწილეობით.

24. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აპარებენ დადგენილი წესით საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, სამხრეთ თუ თითო ავტონომიური ოლქის აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას. იგრეთვე შესაბამისი საქალაქო აღმასკომებისა და რაიონმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს.

25. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები მოვალენი არიან გამოვიდნენ საინფორმაციო მოხსენებით თავიანთი მუშაობის შესახებ მომსახურების რაიონის საწარმოების პროფესიონალი საფამრიკო, საქართველო, აღგილობრივ კომიტეტებთან. აზებულ სოციალური დაწლევების კომისიების სხდომებზე. .

V. ხელახლა შემოწმების ვალები და საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებათა განაჩინების წესი

26. პირველი ჯგუფის ინვალიდების ხელახლა შემოწმება წარმოებს ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფების ინვალიდებისა — წელიწადში ერთხელ.

შემოწმების ვადის აღუნიშვნავად ინვალიდობის ჯგუფი დაუწედებათ:

ა) ინვალიდ მამაკაცებს — 60 წლის ასაკის და ქალებს — 55 წლის ასაკის მიღწევების შემდეგ;

ბ) სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებსაც ინვალიდობის ჯგუფი ჰრილობების, კონტუზიებისა და დავადების შედეგების მიხედვით დაწესებული პერიოდი 15 და მეტი წლის ვადით;



გ) ინგალიდო იმის ინვალიდ მამაკაცებს — 55 წლის მიზნების შემდეგ, რომელიც მის უკანასკნელი ლობების, კონტრჩინებისა და დაავადების შეღებების მიხედვით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში უწევურად ჰქონდათ დაწესებული ინვალიდობის ერთ-ერთი ჯგუფი;

დ) ინვალიდებს, რომლებიც შეპყრობილი არიან ისეთი შეუქცევა ქრონიკული სიცულებებით და ანატომიური დაფუქრებით, რომლებსაც ითვალისწინებს დაავადებათა სია, დამტკიცებული სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ.

იმ ინვალიდობის ხელახლა შემოწმება, რომლებსაც ინვალიდობის ჯგუფი დაუწესდათ ხელახლა შემოწმების ვადის აღუნიშნავად, შეიძლება მოხდეს მხოლოდ მათი განცხადებით.

27. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები მიიღებნ ამა თუ იმ ცნობებს ინვალიდობის ჯგუფის ან მიხეზის უკანონოდ დადგენის შესახებ, ინვალიდი, რომელსაც ინვალიდობის ჯგუფი უვალოდ დაუწესდა, შეიძლება გამოძახებულ იქნას ხელახალი საკონტროლო შემოწმებისათვის რესპუბლიკურ და საოლქო საექიმო-შრომითოს საექსპერტო კომისიაში, მაგრამ მხოლოდ სამედიცინო საქმის გრამოლეგინედ შემოწმების შემდეგ და თუ გამოიჩინა საექიმო-შრომითი ექსპერტიზის კინონდებლობისა და შრომისუნარიანობის შეფასების საშოგადოებრივი პრინციპების და კრიტერიუმების დარღვევა.

რესპუბლიკური, საოლქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა საქალაქო, საჩაოონთა შორისო, რაიონული და სპეციალურებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის უკანონო გადაწყვეტილების ფაქტი, გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას და შესაბამის ორგანოებს აცნობებს იმ პირთა ვინაბის, რომელთაც დანაშაული მიეტლებით ისეთი უკანონო საექსპერტო გადაწყვეტილების გამოტანაში, რომლის საფულეველზე დანიშნული იყო პენსია ან გაცემული იყო სხვა სახის სოციალური დაშმარება.

28. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებული პირი აზ ეთანხმება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებას, ამის შესახებ მას ერთი ოვის განმავლობაში შეაქვს წერილობითი განცხადება საქალაქო აღმასკომის, რაიალმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში ან იმ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში, სადაც მან პირველადი შემოწმება გაიარა.



აღნიშნული განცოფილებებისა და საექიმო-შრომითი კომისიების ხელმძღვანელები ხუთი დღის ვადაში გზავნიან ამ გაცემადებას წინანდელი შემოწმების მოელ სამედიცინო მასალებთან ერთად ჩესპუბლიკური, საოლქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის განსაზიღველად, რომელიც გამოიწვევს განცემადების შემტანს განმეორებითი შემოწმებისათვის. საჩივრები საქალაქო, სარაიონთაშორისო და სპეციალიზებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებებზე შეიძლება შეტანილ იქნას ავტოთვე უშუალოდ ჩესპუბლიკურ, საოლქო საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში.

VI. საქმისწარმოება

29. ოფიცეულ ავადმყოფზე ან ინვალიდზე, რომელიც შემოწმებას გადის საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში, შედგება დაწესებული ფორმის შემოწმების აქტი. შემოწმების აქტი სამკურნალო დაწესებულებებიდან და სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებულ მოელ სამედიცინო დოკუმენტებთან ერთად ინახება საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში იმ წესით, რასაც საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო დადგენს.

30. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები პწარმოებენ რავიანთი სხდომების ოქმებს დაწესებული ფორმით.

31. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები ინვალიდობის ჯგუფის დადგენის დროს ადლევენ ინვალიდებს „საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ცნობას“, რომლის ფორმას ამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. შემოწმების აქტის ამონაწერი ეგზავნება სოციალური უზრუნველყოფის შესაბამის ორგანოს ან სხვა ორგანიზაციას, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს საპენსიო უზრუნველყოფას.

იმ პირებს, რომლებიც არ არიან ცნობილი ინვალიდებად, ავტოთვე იმ პირებს, რომლებმაც მიმართეს საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიას კონსულტაციისათვის შრომისუნარიანობის მდგომარეობის, შრომის იმ სახეობისა და ხასიათის შესახებ, რომლებიც ნაჩვენებია ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, ეძლევათ შესაბამისი ცნობა.

32. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს აქვთ შტამპი და ბეჭედი.

33. ავალმყოფის შრომისუნარიანობის მდგომარეობის მდგრადი განვითარების მიღებისა და „შექმნილი განვითარების მიღების საექსპერტო კომისიის ცნობის“ უკანონოდ გაცემისათვის, რაც ეწინააღმდეგება ინვალიდობის ჯგუფების დადგენის ინსტრუქციისა და ამ დებულებას, დამნაშავენი მიცემული იქნებან პასუხისმგებაში დადგენილი წესით.

117 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სატყეო მეურნეობათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

განიხილეს რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სატყეო მეურნეობათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი ნახევრის შედეგები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ნ ე ნ:

1. ცნობილი იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სატყეო მეურნეობათა კოლექტივების შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1500 მანეთის ოდენობით და მიეკუთხევის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა თიანეთის სატყეო მეურნეობის კოლექტორის (დირექტორი ამ. გ. გორგაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამ. გ. დოლიაშვილი), რომელმაც 1963 წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულა შემდეგი მაჩვენებლებით: მთავარი სარგებლობის ჭრისათვის ტყესაეფის გამოყოფისა — 111 პროცენტი, შეალედი სარგებლობის ჭრისათვის ტყესაეფის გამოყოფისა — 120 პროცენტი, მოვლითი ჭრების ფართობის მიხედვით — 240 პროცენტი, მასის მიხედვით — 180 პროცენტი, ტყის თესვა-დარგებისა — 128 პროცენტი, ტყის კულტურების მოვლისა — 113 პროცენტი, სკოლებისა და პლანტაციების გაშენებისა — 100 პროცენტი, სანერგების გაშენებისა — 114 პროცენტი, სამეურნეო საქმიანობით ხე-ტყის დამზადებისა — 173 პროცენტი, ხე-ტყის



გამოზიდებისა — 118 პროცენტით, ფართო მოხმარების მოწყვეტილი გამოშვებისა — 133 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 132 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 128 პროცენტით, საკუთარი სახსრების შენატანებისა — 115 პროცენტით, პროდუქციის ჩატარებისა — 129 პროცენტით, მთლიანი მოგებისა — 125 პროცენტით, შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის ღონისძიებებისა — 100 პროცენტით, კაპიტალური მშენებლობისა — 102 პროცენტით.

2. დაცვალოს თიანეთის სატყეო მეურნეობის დორექტორს ამს. გ. გომრგაძეს და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარეს ამს. გ. ლოლიაშვილს ამ დადგრილების თანახმად კოლექტივისათვის მიყუთვნებული პრემია — ფულადი ჯილდო მისცენ მუშა-მოსამსახურეებს მოქმედი წესის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფყავშირთა ჩესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა თიანეთის სატყეო მეურნეობისათვის დაცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამს. ი. ი. ჩოდრიშვილს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
გ. ჩოდრიშვილი.

საქართველოს პროფყავშირთა
ჩესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
გ. ლელაზვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 7 სექტემბერი, № 580.

118 საქართველოს სსრ ხოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარ სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსაწარმოთა კოლექტივების ჩესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის მეორე კვარტალის შედეგების შესახებ

— განიხილა რა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების პუნქტებისა და წისქვილსაწარმოთა კოლექტივების ჩესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის მეორე კვარტალის შედეგები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფყავშირთა ჩესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენციალის მიერ გვ. ნენ:

1. ცნობილ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პუნქტის კონკრეტულ ქრისტენისა მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისკველ საქართველოს კოლექტივების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და შეუნარჩუნდეს მიმღინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მინიჭებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფყავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პირველი ფულადი პრემია 2.875 მანეთის ოდენობით ფოთის № 2 წისკვილურმბინატის კოლექტორი ამ. ა. გ. ხორავა, ქარხკომის თავმჯდომარე ამ. ვ. ი. მიხაილიძი), რომელმაც 1963 წლის მეორე კვარტალის საქართვო გეგმები და სოციალისტური შეჯიბრების ყველა პირობა წარმატებით შეასრულა:

საერთო პროდუქციის გამოშევების გეგმა საბითუმო ფასებში — 104,8 პროცენტით, საღლელმისო წარმადობისა — 103,6 პროცენტისა — 105,6 პროცენტით; ერთი მომუშავის გამოშევებისა — 104,8 პროცენტით, მათ შორის ფქვილისა — 104,4 პროცენტით, ბურღულისა — 105,6 პროცენტით; ერთი მომუშავის გამოშევებისა — 104,8 პროცენტით, მთლიანი პროდუქციის ოვითლირებულება შემუძრებულია ერთი პროცენტით; მიიღო ზეგეგმითი დაგროვება 66,6 ათასი მანეთი, დაზოგა 224,9 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და წარმოებაში დანერგა 21 რაციონალიზატორული წინადაღება.

2. დაევალოს ფოთის № 2 წისკვილურმბინატის დირექტორს ამ. ა. გ. ხორავას და ქარხკომის თავმჯდომარეს ამ. ვ. ი. მიხაილიძს, ამ დადგნილებით კოლექტივებისათვის მიყუოვნებული პრემია — ფულადი ჭილდო მისცენ მუშა-მოსამსახურეებს მოქმედი წესის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფყავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა ფოთის № 2 წისკვილურმბინატის კოლექტივისათვის დაევალოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეების პროფყავშირთის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამ. მ. ი. ჭაშს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
გ. როგორაძე.

საქართველოს პროფყავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
ა. ლალაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 7 სექტემბერი, № 581.



საქართველოს სსრ განისაზღაპრული დადგენილებები

119 იმის შესახებ, რომ ხაბჭოთა მეურნეობების მუშებს ნატურით
მიეცეთ ნაწილი დამატებითი საზღაურისა ხაუკეთები აერო-
ტექნიკურ ვადებში მაღალი ხარისხით შესრულებული ხამუშაობი-
სათვის და პრემიებისა ხაერთო პროდუქციის მიღების გეგმის გადა-
ჭარბებით შესრულებისათვის

„საბჭოთა მეურნეობების მუშაოთა, ხელმძღვანელ მუშაյთა და სპე-
ციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური
წარალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების
მუშაյთა შრომის ანაზღაურების „შესახებ“ სკკ ცენტრალური კომი-
ტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა
სრულიად საყავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის
№ 542 დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პრო-
დუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საქიროების
დროს (მუშაოთა სურვილისამებრ) დამატებითი ფულადი საზღაურის
და პრემიების ნაწილი გასცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის
სახით, მაგრამ არა უმეტეს იმ დამატებითი საზღაურის თანხისა და
პრემიების ნახევრისა, რაც მათ ერგებათ სასოფლო-სამეურნეო პრო-
დუქტის წარმოების გადიდებისა და მისი ოეითორებულების შემ-
ცირკირებისათვის, აგრეთვე სამუშაოთა შესრულებისათვის საუკეთესო
აგროტექნიკურ ვადებში მაღალი ხარისხით და ხაერთო პროდუქტის
მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მისი ხარისხის გა-
თვალისწინებით, რომლებიც დაწესებულია მე-11 და 21-ე მუხლებით
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სიკითხთა
სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საყა-
ვშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 30 ივნისის
№ 285-14 დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი დებულებისა
საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწი-
ფო საწარმოების მუშაოთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

2. ბრიგადების (რკოლების) მუშებისათვის დამატებითი საზღაუ-
რისა და პრემიების ნახევრის მიცემა ნატურით მოხდეს სიმინდის მა-

რცვლის, ლობიოს თესლის, კარტოფილის, კომბოსტონის შემდეგ სახით, აღნიშნული კულტურების მოსავლის აღების ზუსტიანების შემდეგ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე პ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მირაჩავა.

ქ. თბილისი, 1963 წ. 6 ივლისი, № 446.

120 სამოქალაქო საპატიო ფლოტისა და გაზის შრეწველობის ორგანიზაციების კუთხით სახლებიდან იმ პირთა გამოსხვლების შესახებ, რომლებმაც ამ ორგანიზაციებთან შეწყვიტეს შრომითი დამკიდებულება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სამოქალაქო საპატიო ფლოტისა და გაზის შრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის მუშაქები იმ შემთხვევაში, თუ ისინი დათხოვნილი არიან სამუშაოდან თავიანთი სურვილით ან შრომის დისკიდილინის დარღვევისათვის, ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, შეიძლება გასახლებულ იქნან სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ სახლებიდან, რომლებიც აეროპორტებსა და გაზის შრეწველობის ორგანიზაციებს ეკუთხნიოთ.

2. მიასთან დაკავშირებით დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 პერიოდის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან შეიძლება გამოსხვლებულ იქნან სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშა-მოსამსახურები, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამკიდებულება თავიანთი სურვილით დათხოვნასთან, ან შრომის დისკიდილინის დარღვევისთან, ან ბოროტმოქმედების ჩადენასთან დაკავშირებით, — შემდეგი აბზაცები:



„51. სამოქალაქო საპარტო ფლოტის საქართველოს უკანასკნელი ული სამშართველოს საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მრეჩების ბენდებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ.

52. გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჭავაბიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მირაძეამი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 10 ივნისი, № 453.

121 1962 წელს სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გაგების მთლიანად და გადაკარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაჯილდოების შესახებ

შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 სექტემბრის № 596 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაკარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაჯილდოების შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენ 6:

I. დაჯილდოებულ იქნან სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის 1962 წლის გეგმების, მთლიანად და გადაკარბებით შესრულებისათვის:

1. გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის თბილისის ფრინველსაუებელი მეურნეობა — 3,5 ათასი მანეთით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვის გეგმა 107,9 პროცენტით და კვერცხის მიყიდვისა — 140,5 პროცენტით, ამასთან 112,1 პროცენტით შეასრულა აღნიშნული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი ფულადი გამოხატულებით.



2. გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზირებული მეურნეობა — 2 ათასი მანეტით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა 100,8 პროცენტით, პირუტყვისა და ფრინველისა — 205 პროცენტით და რძისა — 101,7 პროცენტით, ამასთან შეასრულა აღნიშნული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი ფულადი გამოხატულებით 105,3 პროცენტით;

3. დუშეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ სონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობა — 5,5 ათასი მანეტით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის პირუტყვის მიყიდვის გეგმა 193,3 პროცენტით, რძისა — 100,5 პროცენტით და მატყლისა — 144,3 პროცენტით, ამასთან შეასრულა აღნიშნული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი ფულადი გამოხატულებით 151,9 პროცენტით.

4. დუშეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა — 5,5 ათასი მანეტით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის პირუტყვის მიყიდვის გეგმა 195,2 პროცენტით, რძისა — 103,2 პროცენტით და მატყლისა — 123,6 პროცენტით, ამასთან შეასრულა აღნიშნული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი ფულადი გამოხატულებით 136,1 პროცენტით;

5. ყვარლის საწარმოო სამმართველოს სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა — 8 ათასი მანეტით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა 121 პროცენტით, რძისა — 137,9 პროცენტით, კვერცხისა — 118,1 პროცენტით, მატყლისა — 100 პროცენტით, ხილისა — 151,3 პროცენტით, ბოსტნეულისა — 139,5 პროცენტით, მარცვლისა — 139 პროცენტით, ბალჩეული კულტურებისა — 101 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 150 პროცენტით, ყურძნისა — 201,1 პროცენტით, ეთერზე-თოვანი კულტურების ნედლეულისა — 221 პროცენტით და თაშბაქისი — 144,2 პროცენტით, ამასთან შეასრულა აღნიშნული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი ფულადი გამოხატულებით 138,9 პროცენტით;

6. გურჯაანის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჩუმლიყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა — 7,5 ათასი მანეტით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის, ხორცის მიყიდვის გეგმა 105,5 პროცენტით, რძისა — 107,2 პროცენტით, კვერცხისა — 109 პროცენტით, მატყლისა — 117,1 პროცენტით, ხილისა — 100 პროცენტით, ბოს-



ტრეულისა — 101,5 პროცენტით, მარცვლისა — 109,3 გულაძე მარცვლისა
ბაღჩეული კულტურებისა — 132,1 პროცენტით, აბრეშუშის ვარჯისა
— 120,5 პროცენტით და ყურძნისა — 142 პროცენტით, ამასთან შე-
ასრულა აღნიშნული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვა-
ლდებულებანი ფულადი გამოხატულებით 146,5 პროცენტით;

ა) კონტროლი გაუწიონ შრომა-გასწორების დაწესებულებების, გასახლებულთა დასახლების აღვილების მიღლივის კომენდატურების, შრომა-გასწორების სამუშაოების ინსპექციებისა და იმ დაწესებულებათა საქმიანობას, სადაც მუშაობენ ის პირები, რომლებსაც დადებული აქვთ სასჯელი, რაც არ არის დაიავშირებული თვითისუფლების აღკვეთისთან, — იმ მხრივ, თუ როგორ იყვავენ ძინი მოქმედ კანონმდებლობას, რათა ხელახლა აღზარდონ მსჯავრდადებული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი ჩაბმის, შრომის სწორი ორგანიზაციის, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სანიტარული მომსახურების, საწარმოო-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების გაუმჯობესების, დისკიპლინური სასჯელის დადების პრაქტიკის სისწორისა და სხვათა საფუძველზე;

ბ) მოიზიდონ საზოგადოებრიობა იმისათვის, რომ მონაწილეობა მიღლოს მსჯავრდებულთა ხელახლა აღზრდაში;

გ) ხელი შეუწყონ თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან, გასახლებისა და გადასახლების აღვილებიდან განთავისუფლებულ პირებს შრომითს მოწყობასა და საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში;

დ) განახორციელონ კონტროლი და დაზმარება გაუწიონ იმ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას, რომლებიც განთავისუფლებული არიან თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან, მსჯავრდადებული არიან პირობით ან მისჯილი აქვთ შრომა-გასწორ

რების სამუშაოები, გადასახლება, დადებული აქვთ კუთხის მომზადება ციული სასჯელი პატიმრობისა და სხვა სახით.

გვ. 148
გვ. 148

6. სამეთვალყურეო კომისიების უფლება აქვთ:

ა) დაათვალიერონ კომისიების საქმიანობის ტერიტორიაზე თავისუფლების აღკვეთის ადგილები, ის ადგილები, სადაც დასახლებული არიან და მუშაობენ გასახლებული, ისეთი პირები, რომლებსაც მისჯილი აქვთ შრომა-გასწორების სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე, ეადამდე პირობით განთავისუფლებული და სხვა პირები, რომლებსაც დადებული აქვთ სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან; შეამოწმონ მათი მუშაობა, მოითხოვონ აღმინისტროციისაგან იმ ღოკუმენტების წარდგენა, რომლებიც საჭიროა სამეთვალყურეო კომისიის მუშაობისთვის; აწარმოონ მსჯავრდადებულთა მიღება, გაცენონ მათს პირად საქმეებს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვონ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებისაგან სათანადო ცნობები თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გატახლებისა და გადასახლების ადგილებთან გასათავისუფლებელ პირთა შესახებ, აგრეთვე იმ პირთა შესახებ, რომლებსაც მისჯილი აქვთ გადასახლება, შრომა-გასწორების სამუშაოები და დადებული აქვთ სხვა სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;

გ) შეიტანონ შრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად საკითხები. რომლებიც დაყავშირებულია შრომა-გასწორების, დაწესებულებათა საქმიანობასთან, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, გადასახლების ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომით მოწყობასთან, აგრეთვე იმ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, რომლებიც განთავისუფლებული არიან სასჯელის მონაბირებისაგან, აგრეთვე მისჯილი აქვთ შრომა-გასწორების სამუშაოები, გადასახლება და დადებული აქვთ სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;

დ) იმ მსჯავრდადებულთა მიმართ, რომლებმაც სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისაღმი პატიოსანი დამოკიდებულებით დამტკიცეს თავიანთი გამოსწორება:

შეიტანონ წინადადებანი პატიოების თაობაზე;

შეიტანონ წარდგინება მსჯავრდადებულთა ვადამდე პირობით განთავისუფლების ან იმის შესახებ, რომ შეეცვალოთ მათ თავისუფლების აღკვეთა სასჯელის უფრო მსუბუქი ზომით (მას შემდეგ,



რაც მსჯავრდადებულმა მოიხადა სასჯელის ვადის ის მატერიალურული მელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისტემიზაციული მეცნიერების კოდექსის 54 მუხლით), აგრეთვე, რომ განთავისუფლებულ იქნან ისინი დამატებითი სასჯელისაგან (გასახლება, გადასახლება) და იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია დაიკავონ მათ განსაზღვრული თანამდებობა ან ეწიონ გამსაზღვრულ საქმიანობას (კადამდე პირობით განთავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის ოლქერის შემთხვევაში);

ე) იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვთ პატიმრობა, თუ მათ გამოიჩინეს სანიმუშო ყოფაქცევა და მოიხადეს პატიმრობის ვადის ჩახევარი მაინც, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 376 მუხლის შესაბამისად, აღძრან შუამდგომლობა სათანადო სასამართლო ორგანოების წინაშე, რათა გადაყვანილ იქნან ეს პატიმრები სასჯელის შემდგომ მოსახლელად შრომა-გასწორების კოლონიებში;

ვ) იმ პირთა მიმართ, რომლებიც განთავისუფლებული არიან სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ; ან განთავისუფლებული არიან ვადამდე პირობით და დამტკიცეს, რომ თავიანთი ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით იმსახურებენ ნასამართლობის ვადამდე მოხსნას, — აღძრან შუამდგომლობა სასამართლო ორგანოების წინაშე, რომ ვადამდე მოეხსნათ მათ ნასამართლობა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 57 მუხლისა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად.

7. სამეთვალყურეო კომისიის წევრებს შორის ფუნქციები განაწილდება კომისიის სწდომაზე, სადაც მის ცალკეულ წევრებს მიამაგრებენ მუშაობის განსაზღვრულ ობიექტებს (რაზმებს — კოლონიაში, გამწორების სამუშაოთა ინსპექციებს, მილიციის კომინდატურებს — იმ პირთა დასახლების აღგილებში, რომლებიც გადასახლებული არიან, თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებისა „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“, პირობით მსჯავრდადებულ, თავისუფლების აღკვეთის აღგილებიდან განთავისუფლებულ, გადასახლებაში მყოფ პირებთან და სხვ. მუშაობისათვის).



სამეთვალყურეო კომისია დაწესებს სამეთვალყურეო კომისიას თავმჯდომარის ან წევრის მიღების დღეებს, რის შესახებ გვიტრია დება გამოიყრება თვალსაჩინო ადგილზე თავისუფლების აღქვეთის ადგილის ზონაში, გასწორების სამუშაოთა ინსპექციაში, დასახლების ადგილის კომენდატურაში, შშრომელთა დეპუტატების აღმას-კომის შენობაში.

8. სამეთვალყურეო კომისიები და სამეთვალყურეო კომისიების წევრები შერმა-გასწორების დაწესებულებების, გასწორების სამუშაოთა ინსპექციების, გასახლებულთა დასახლების ადგილების მიღიცის კომენდატურის და იმ ორგანიზაციების აღმინისტრაციის მეშეებობით, სადაც მუშაობენ ისეთი პირები, რომლებსაც დადებული აქვთ სასჯელი, რაც არ არის დაიყვშირებული თავისუფლების აღქვეთასთან, — იღებენ ადგილზე ზომებს გამოელინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მათ შორის მსჯავრდადებულთა საჩივრებისა და განცხადებების მიხედვით. კომისიის წინადადებანი ამ საკითხებზე განუხრელად უნდა შესრულდეს. უკეთ ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არ ეთანხმებიან სამეთვალყურეო კომისიების წინადადებებს, საკითხი შეიტანება შშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილევლად. წინაღადებანი შერმა-გასწორების პოლიტიკის გაუმჯობესების შესახებ, რომლებიც ვირ გადაიჭრება უმუალოდ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, სამეთვალყურეო კომისიების ან შშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ძალებით. შეიტანება იმ ზემდგომი აღმინისტრაციული და სასამართლო-საპროკურორო ორგანოების გადასაწყვეტად, რომელთა კომპეტენციაში შედის მოცემული საკითხების გადაწყვეტა.

აღნიშნული საკითხების განხილვისას სამეთვალყურეო კომისიის სხდომაზე გამოძახებული იქნება ის პირი, რომლის საქმეს კომისია არჩევს.

9. სამეთვალყურეო კომისიები თავიანთ მუშაობას ეწევიან კომისიის სხდომაზე დამტკიცებული გვგმის თანაბრად.

სამეთვალყურეო კომისიის სხდომებს მოწევევს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის ან ყოფნის დროს — მისი შოაღვილე, საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.



კომისიის სხდომაშე ცველა საყითხი გადაწყდება ხურის მიზნები გადაწყდება სისამართვა
ლო უმრავლესობით.

10. სამეთვალყურეო კომისიების სხდომებშე, საკიროების მი-
ხედით, სათათბირო ხმის უფლებით მოიწვევიან პროეურატურის,
მილიციის წარმომადგენლები, იგრეთვე საწარმოთა, დაწესებულე-
ბათა, კომპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმო-
მადგენლები.

კომისიის სხდომაშე შრომა-გასწორების დაწესებულების, გას-
წორების სამუშაოთა ინსპექციის ხელმძღვანელის და გასახლებულ
პირთა დასახლების ადგილების კომენდანტის ან მათი მოადგილეე-
ბის დასწრება იმ საყითხების განხილვის დროს, რომლებიც დავა-
შირებულია მათი დაწესებულებების საქმიანობასთან და იმ პირ-
თა ვადამდე პირობით განთავისუფლებასთან ან მათვის ნასამარ-
თლობის მოხსნასთან, რომლებიც სასჯელს იწყიან მათ სამომსახუ-
რეო ობიექტებშე — საეალდებულოა.

11. სამეთვალყურეო კომისიებს ტექნიკურ მომსახურებას უწევს
შერომელთა დეპუტატების საბჭოს იმ აღმასრულებელი კომიტეტის
აძარატი, რომელთანაც ისინი იყონი იყონი იყონი იყონი იყონი.

სამეთვალყურეო კომისიების მუშაობასთან დაკავშირებული
ხარჯები გაიწევა შერომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულე-
ბელი კომიტეტის სახსრების ანგარიშით.

12. სამეთვალყურეო კომისიების წევრებს კომისიის ისეთ დავა-
ლებათა შესრულების დროისათვის, რომლებიც დავაშირებულია
წარმოებისაგან მოწყვეტასთან, შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელ-
ცასი შათი მუდმივი სამუშაო ადგილის მიხედვით.

13. პირადობის მოწმობას, რომელიც იძლევა სამომსახურეო
ობიექტების ტერიტორიაზე შესვლის უფლებას, სამეთვალყურეო
კომისიის წევრებს მისცემენ შერომელთა დეპუტატების საბჭოების
სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები.

14. თავიანთი მოვალეობათა განხორციელების დროს სამეთვალ-
ყურეო კომისიების წევრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რო-
გორც თანამდებობის პირებს.



149

ხაქართველოს სსრ უმაღლესი სასოფლო-სამეცნიერო ცენტრის
ლებლების შესახებ

*განსახორციელებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 ივნისის № 840 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და კ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეცნიერო მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. ადგენ ნს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს გადასცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო გამგებლობაში საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, საქართველოს ზომებერინარული სასწავლო-საცდელი ინსტიტუტი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი მათი ფილიალებით, სასწავლო სახელოსნოებით, სასწავლო-საცდელი და სხვა მეურნეობებით, მასთან აღნიშნული ინსტიტუტების დაფინანსება გადატანილ იქნას რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საკავშირო ბიუჯეტზე.

ზემოაღნიშნული ინსტიტუტების და მათი მეურნეობებისა გადაცემა მოხდეს 1963 წლის 1 ივნისის მდგრადარეობის მიხედვით, რაზეცაც შედგეს სათანადო მიღება-ჩაბარების აქტები.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, სასწავლო სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტების საკავშირო დაქვემდებარებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შეიტანონ 1963 წლის ბიუჯეტსა და სახალხო-სამეცნიერო გეგმაში (დაფინანსება, შრომის გეგმა და სხვ.) ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქართველო სამმართველოებმა მოაწყონ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად მეცნიერების იმ მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა წარმოებაში, რომელიც რეკომენდებულია სსრ კავშირის სამეცნიერო-საცდელევი დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტ-



როს მიერ, შეიმუშაონ მათი დანერგვის გეგმები, იმ მშრალობის და გადების ოღნიშვნით, რომლებიც შეტანილ უნდა იქნას „თემუკის მეურნეობების საწარმოო-სატინანსო გეგმებსა და კოლმეურნებათა საწარმოო გეგმებში, კონტროლი გაუწიონ მათ შესრულებას, აგრეთვე მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები „საქსოფლტექნიკის“ მეშვეობით მოწყობილობით, ქიმიკატებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა, და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე პ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ებოიაზვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 30 აგვისტო, № 561.

150 სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭოს 1963 წლის 26 ივლისის № 836 დადგენილებასთან დაკავშირებით ხაქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 ივლისის № 836 დადგენილებისა „საბჭოთა მილიციის ახალი დებულების დამტკიცებასთან“ დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა ზაბჭო აღ გე 6 ს:

I. ძალადაკავშულიდ ჩაითვალოს მუხლი 2 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 26 თებერვლის № 365 დადგენილებისა „უდედმომოდ დაჩინილ ბავშვთა მოწყობის შესახებ“.

II. „პირუტკის თურქულით დავადების წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 76 დადგენილების მე-12 მუხლში სიტყვები: „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო“ შეიცვლის სიტყვებით: „მილიციის ორგანოები მათ რწმუნებათა ფარგლებში“ და ამოღებულ იქნას სიტყვები: „და მუდმივი კონტროლი გაუწიონ იმ ღონისძიებათა გატარებას“.



III. მილებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მიერთვის საბჭოს 1963 წლის 26 ივნისის № 836 დადგენილებით:

1. დაწესებულია ორმ ქუჩების, ბაღების, პარკებისა და საზოგადოებრივი სარგებლობის სწავლისადმი, ადგილების სუფთად და წესიერ მდგომარეობაში შენახებისადმი, აგრძელებელი სახლებისა და ეზოების სანიტარული მდგომარეობისადმი მეთვალყურეობას განახორციელებენ მილიციის ორგანოები სსრ კავშირის განმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებთან ერთად.

ამასთან დაკავშირებით, დაემატოს სსრ კეშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 აგვისტოს № 901 დადგენილებით დამტკიცებული საბჭოთა მთლიურის დებულების მე-9 მუხლის პირველ განაყოფს მუხლი „ნ“ შემდეგი შინაარსისა:

„(6) სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებთან ერთად თვალყურს აღვენებავ ქუჩების, ბაღების, პარკების და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ადგილების შენახვის სუფთად და წესიერ მდგომარეობაში, ავრეთვე სახლებისა და ეზოების სანიტარულ მდგომარეობას.“

2. სსრ კაშშირის სახელმწიფოს 1931 წლის 25 მაისის № 390 დადგენილებაში „დებულება მუშარ-გლეხური მილიციის შესახებ“ (სსრკ კნ. კრ. 1931 წ. № 33, მთხ. 247):

ა) გაუქმებულია განაყოფები I, II, III; V, აგრეთვე მუხლები 24-26, 27 მუხლის ქვეპუნქტები „გ“, „ზ“ და „თ“, მუხლები 29, 31, 32, 34, 41, მუხლი 42; ამისთვის შენარჩუნებულია მოქმედება ამ მუხლის პირველი აბზაციისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 ოქტომბრის № 1444-720 დადგენილების დანართის შენიშვნის მე-5 მუხლში აღნიშნული მილიციის მუშავებისათვის, 43 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“ და მუხლი 45;

ბ) 27-ე მუხლში პირველი აბზაცი მიღებულია შემდეგი რედაქტურობით:

„27. მილიციის რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებზე არ კრცელდება შრომის საერთო კანონმდებლობა, ამ პირთა შრომის პირობები, სამსახურში მიღების პირობები და წესი, სამსახურის გაელის წესი მოწესრიგდება სპეციალური დებულებებით შემდეგი პირობების დაცვით“;



ქვეპუნქტი „ა“ მიღებულია შემდეგი რედაქციით: სისულეები და „ა) რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირთაოვის სისული დრო წესდება არაორმირებული“;

ქვეპუნქტი „დ“ მიღებულია შემდეგი რედაქციით:

„დ) საციროების შემთხვევაში რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები მოვალეობი არიან გასწიონ სამსახური ყოველგვირეული დასვენების დღეებში და უქმე დღეებში; ამასთან ყოველგვირეული დასვენების გამოუყენებელი დღეების და უქმე დღეების ნაცვლად მათ მიეცემათ სხვა გამოსასელები დღეები“;

ქვეპუნქტი „ვ“ მიღებულია შემდეგი რედაქციით:

„ვ) ორსული ქალები და დედები სარგებლობენ მთელი იმ შეღავათებით, რომლებიც დაწესებულია საერთო კანონმდებლობით ორსული ქალებისა და დედებისათვის;

გ) 28-ე მუხლში სიტყვები: „ოპერატიულ-სამწყობრო და აღმინისტრაციულ-სამეცურნეო მუშაკები“ შეცვლილია სიტყვებით: „ის პირები, რომლებიც შედიან რიგითი და უმცროსი შემადგენლობის თანამდებობაზე“;

დ) 35-ე მუხლში სიტყვები „მიღიცის ოპერატიულ-სამწყობრო და აღმინისტრაციულ-სამეცურნეო შემადგენლობის ამ მუშაკებს“ შეცვლილია სიტყვებით: „მიღიცის რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს“;

ე) 36-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები: „კოოპერატიულ-სამწყობრო და აღმინისტრაციულ-სამეცურნეო მუშაკებს“ შეცვლილია სიტყვებით: „რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს“;

ვ) 36-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში ამოღებულია სიტყვები: „და მოკავშირე რესპუბლიკების“;

ზ) 37-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები: „ოპერატიულ-სამწყობრო და აღმინისტრაციულ-სამეცურნეო მუშაკებს“ შეცვლილია სიტყვებით: „რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს;“

38-ე მუხლში:

პირველ აბზაცში ამოღებულია სიტყვები: „და მოკავშირე რესპუბლიკების“.

შეორე აბზაცში სიტყვები: „მუშარ-გლეხური მიღიცის დისკაბლინური წესდებებით (მუხ. 16)“ შეიცვალოს სიტყვებით: „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს დისკაბლინური წესდებებით“;



ი) 44-ე მუხლში სიტყვებია: „ოპერატიულ-სამწყობრიგო ციტული ნისტრაციულ-სამეცნიერო მუშაკების“ შეიცვალოს სიტუმისთვის მუშაკების“.

3. მუხლი 26 კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზების მოწყობის და დაცვის წესებისა, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 თებერვლის № 577 დადგენილებით და დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 12 აპრილის № 363 დადგენილებასთან ერთად, ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„26. მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების ღმისარულებელი კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც სამშენებლო ორგანიზაციები აქვთ, აგრეთვე მილიციის ორგანოები მათ რწმუნებათა ფარგლებში მოვალეობი არიან დახმარება გაუწიონ კავშირგაბმულობის სამინისტროს წარმომადგენლებს იმ მხრივ, რომ მიღლონ ზომები სამშენებლო ორგანიზაციების ან ცალკეული პირების მიერ კავშირგაბმულობის საპარო და საკაბელო ხაზების დაცვის წესების დარღვევის ღმოფენებისათვის.“

4. გაუქმებულია „ფეთქებადი მასალების შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 მაისის № 2430 დადგენილების მე-5 მუხლის მეორე აბზაცია“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 ივნისის № 770 დადგენილებასთან ერთად და მუხლი 24 „ინსტრუქციისა ფეთქებადი მასალების შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მიღლივის ორგანოების მიერ ნებართვების გაცემას ფეთქებადი მასალების რეინიგზებითა და წყალია მიმოსელის გზებით გადაზიდვის შესახებ“ (გარდა ამ ტეროტების ხელბარგად გადაზიდვის შემთხვევებისა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე გ. ჩიტიაშვილი.



151 მოხავლის დროულად აღებით სახელმწიფო საუკრაშუმულო
მეურნეობათა იმ შოტრებისა და სხვა მუშაკების პატიჟიჩიან
ლური დაინტერესების გაძლიერების შესახებ, რომელიც დასაქმე-
ბული არიან სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვაზე

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სახელმწიფო საავტომობილო მეუ-
რნეობათა შოტრებისა და სხვა მუშაკების მატერიალური დაინტერე-
სება მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, კა-
რტოფილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, აგრეთვე
სასილოს მასის გადაზიდვის დროულად უზრუნველყოფით და სსრ
კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 აგვისტოს № 846 დადგე-
ნილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ად-
გინს:

1. დაწესდეს დანართის თანახმად განსაზღვრული პერიოდისათ-
ვის, რომლის გამამართებელი უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოხავ-
ლის აღება და გამოწიდვა უდანაარგოდ:

ა) სახელმწიფო ორგანიზაციათა და საწარმოთა იმ შოტრების და-
ჯილდოება, რომელიც დასაქმებული არიან მოსახლისა და სასილოსე
მასის გამოზიდვაზე საბჭოთა მეურნეობებსა და კომმეურნეობებში,
სანარდო გამომუშავების 15 პროცენტის ოდენობით ცვლის დავალე-
ბის შესრულებისათვის და სანარდო გამომუშავების 2 პროცენტის და-
— ამ დავალების გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში
ისე, რომ არ განისაზღვროს პრემიები სსრ კავშირის მინისტრთა საბ-
ჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების მე-8 მუხლით
გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობით.

უფლება მიენიჭოთ სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაცი-
ების ხელმძღვანელებს შეუმცირონ შოტრებს პრემიების ოდენობა ან
ჩამოართვან შათ პრემიები მოლიანად, თუ აღმოჩენილი იქნება გადა-
ზიდვის დროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგები შო-
ტრების მიზნებით.

დაწესდეს, რომ შოტრებს, რომელიც დაგილდოებული არიან იმ
დადგენილების შესაბამისად, არ მიეცემათ პრემიები დავალებათა ხა-
რისხიანად შესრულებისათვის დანიშნულ ვადაში და ვადამდე, რომ-
ლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960
წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების მე-8 მუხლით;

ბ) სახელმწიფო საეტომობილო მეურნეობების იმ ხელმძღვანელ
და ინეინერ-ტექნიკურ მუშაკთა დამატებითი დაგილდოება, რომელ-
ებიც დასაქმებული არიან მოსახლისა და სასილოსე მასის გამოზიდვის
სამუშაოებზე საბჭოთა მეურნეობებსა და კომმეურნეობებში, —



თანამდებობრივი განაკვეთის 2 პროცენტის ოდენობით ფაქტურული კალაქტარბებით შესრულების ყოველ პროცენტში.

გიგანტის განაკვეთის 2 პროცენტის მეურნეობაში შეასრულა ტვირთზიდების თვითღირებულების გეგმა მთლიანად თვის განვილობაში. მასთან იმ პრემიების საერთო ოდენობა, რაც ეძღვა ერთ ხელმძღვანელ ან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაქს ამ დადგენილების შესაბამისად, იმ პრემიასთან ერთად, რომელიც გაიცემა ტვირთზიდების თვითღირებულების გეგმის შესრულებისა და ტვირთზიდების ოფიციალურებულების ზეგეგმითი შემცირებისთვის, ას უნდა იღება-ტებოდეს თანამდებობრივი განაკვეთის 0,4-ს თვეზე გაანგარიშებით.

2. დაწესდეს, რომ როდესაც საეტომობილო მეურნეობათა რემონტის მუშები, შექანიერსები, კოლონათა უფროსები და დისპეტჩერები მოსავლის აღების პერიოდისათვის გაიგზავნებიან კოლმეურნებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დამამზადებელ პუნქტებში, მიკლინების ხარჯების ანაზღაურება წარმოებს იმ წესითა და ოდენობით, რაც დადგენილია ამ სამუშაოებზე მივლინებული შოთრებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე პ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე ლ. გითიაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 31 აგვისტო, № 566.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 31 აგვისტოს № 566
დადგენილების დანართი

განსაზღვრული პრიორი

რომლის განმავლობაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოხავლის
აღება უდანაკარგოდ

1. თივა	— 20 დღე
2. ნამჭა და ჩალა	— 15 "
	ან მარცვლეულის აღებისთვის არა უგვიანეს 3-5 დღისა
3. ველური ბალახები სასილოსედ	— 10 "
4. სიმინდი და სხვა კულტურები სასილოსედ	— 15 "
5. პამიდორი, კიტრი, ბაღრივანი და საზამთრო	— 80 "



6. კომბისტო, ჭარხალი, სტაფილი, ქარტოფილი თარიღული და გოგრა	სისახლეები შემოწმებული
7. ხარისხმოვანი ჩიაძის მწევანე ფოთოლი	— 150 "
8. ციტრუსოვანთა ნაყოფი	— 50 "
9. პურეული მარცვლად	— 15 "
10. სიმინდი მარცვლად	— 21 "
11. შაქრის ჭარხალი	— 60 "
12. ყურძენი	— 20 "

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ჩიტიაზილი.

152 რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საბუღალტრო აღრიცხვის შეგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობებში საბუღალტრო აღრიცხვის წესიერად წარმოება საკოლმეურნეო, სოციალისტური სიკუთრების დაცვის, კოლმეურნეობათა შემოსავლის სწორი განაწილებისა და საფინანსო მეურნეობის გაძლიერის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ყვარლის, გორის, ბოლნისის, გალისა და ლენინგრადის საწარმოო სამმართველოების ცალკეულ კოლმეურნეობათა შემოწმებით დადგინდნა, რომ ქერ კიდევ ბევრ კოლმეურნეობაში ირლევეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის № 769 დადგინდებით დამტკიცებული დებულება სასოფლო-სამეურნეო არტელის მთავარი (უფროსი) ბუღალტრის შესახებ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების მითითებანი, რის შედეგადაც ბევრ კოლმეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვა არადაბაკმაყოფილებად არის დაყენებული.

1962 წლის წლიური ანგარიშები განსაკუთრებით უხარისხოდ იქნა შედგენილი ბოლნისის, ტუშეთის, ზეგდიდის, გეგეჟიორის, ახალციხის, ამბროლაურის საწარმოო სამმართველოების და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ საეთოის ივტონიმიური ოლქის კოლმეურნეობებში. ჩიგი სამმართველოების კოლმეურნეობებში უხარისხოდ აღვენენ კოლმეურნეობათა კვარტალურ საფინანსო ანგარიშებს.

შემოწმებული რაიონების კოლმეურნეობებს არა აქვთ დოკუმენტობრუნვის გეგმა; პირველადი დოკუმენტის შევსება, დამუშავება



და დაცორებში ჩაწერა დიდი დაგვიანებით წარმოებს; ბეჭედულებული არებაში არ არის წესიერად დაყენებული პირუტყვის ძირითადი მიმღებია პროდუქტების, ფულადი შემოსავალ-გასავლის, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, პირებთან და კოლმეურნებთან ანგარიშით შემონად ფულის გაცემის საბუთების სათანადოდ გაფორმების ნაცელად ადგენენ ქერებს, რომლებიც ხელმოწერილი არ არის ფულის მიმღების მიერ, ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის ღირებილი რებული წამატებათა და თვალისახვევის ფაქტები. ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს სოფელ მცხტის კოლმეურნეობის 1962 წლის წლიურ ანგარიშში არ არის შეტანილი მონაცემები შეცხოველებიდან მიღებული ფულადი შემოსავლის; მანქანა-იარაღების რაოდენობის, საწვავ-საცხები მასალის ხარჯისა და მიწათსარგებლობის შესახებ; ბოლნისის საწარმოო სამმართველოს სოფელ კოჩულის კოლმეურნეობის, წლიურ ანგარიშში სახელმწიფოსათვის ხორცის მიკიდვა 32 ცენტნერით შეტერიცების ლენინგრადის რაონინის სოფ. აბრევის კოლმეურნეობის 1962 წლის ანგარიშში კურდიტორული დაფალიანება 63.372 მანეთი ზედმეტ ად არის ნაჩვენები.

გალის რაონინის შემოწმებულ ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ წარმოებს პირუტყვის ინკუნტარული ოღრიცხვა, არ ფორმდება მოზარდი პირუტყვის უფროს ასაკობრივ ჯგუფში გადაყვანა და ცოცხალი წონის მატებისათვის ფასდამატება, რის შედეგად აღგილი აქვს პირუტყვის დაბალ ფასად გაყიდვისა და ხორცის გამოსავლიანობის შემცირების შემთხვევების; გორის რაონინის სოფ. ზერტისა და ატენის კოლმეურნეობათა საწყობების გამგეები პროდუქტების გაცემის ზოგიერ ბარათებით და არა უწყისებით აწარმოებენ; ახალციხის საწარმოო სამმართველოს სოფ. ფხეროს კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმის გამგეს უსაბუთოდ ჩამოაწერეს 104 ცენტნერი კარტოფილი, 75 ცენტნერი კომბინირებული საკვები, 43 ცენტნერი მარცვალი და 355 ცენტნერი საკვები ჭარხალი; ყვარლის რაონინის სოფ. შილდის კუიბიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში 1962 წლის დამლევს გაუფორმებელი აქტებით ქონების ანგარიშიდან ჩამოწერეს 25,5 ათას მანეთად ღირებული სამურნეო ინკვენტარი.

გალის რაონინის სოფ. თავილონის კოლმეურნეობა „სალხინის“ სალარში სისტემატურად ინახავდნენ დიდ. თანხებს, რის შედეგად 1963 წლის პრიოლში სალარდან გატაცებულ იქნა 4,828 მანეთი.



რესპუბლიკის 1419 კოლმეურნეობიდან, 406 კოლმეურნეობიშვილი ადგენს ყოველთვიურ ბრუნვათა ბალანსებს, რის გამო მათ ჭირის მქონე და დება კონტროლი საბუღალტრო ჩანაწერების სისწორისადმი.

საბუღალტრო აღრიცხვის ჩამორჩენის მთავარ მიზეზს წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის კადრების მოშზაღების დაბალი დონე. მაგალითად, უმაღლესი საბუღალტრო-ეკონომიკი განათლება აქვს მთავარ (უფროს) ბუღალტრების საერთო რიცხვი მხოლოდ 4 პროცენტს, საშუალო განათლება — 72 პროცენტს, ხოლო დანარჩენს დაბალი განათლება აქვს.

საწარმოო სამმართველოები და სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორები სათანადო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებს არსებულ ნაკლებანებათა გამოსწორებისა და საბუღალტრო აღრიცხვის მოწესრიგების საქმეში, რადგან თავიანთ ინსტრუქტორ-ბუღალტრებს უმთავრესად იყენებენ საჩივრების შემოწმებისა და რევიზიების ჩატარებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების უფროოსებს:

ა) მიიღონ გადაუდებელი ზომები აღნიშნულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

შემოწმონ კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისაორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვის მფლობარეობა და შემოწმების მასალები განიხილონ კოლმეურნეობათა მთავარი (უფროსი) ბუღალტრების და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარების რაოდნულ თაობირ-სემინარებში.

ამ თაობირ-სემინარებში ერთხელ კიდევ გააცნონ მათ დებულებები კოლმეურნეობათა მთავარი (უფროსი) ბუღალტრების, სახევაზიო კომისიების შესახებ და სასოფლო-სამეურნეო არტელის საქალაპერაციების და კოლმეურნეობებში სასაწყობო ოპერაციების წარმოების წესები;

ბ) საკოლმეურნეო აღრიცხვის ინსტრუქტორ-ბუღალტრების მუშაობა ძირითადად წარმართონ კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისათვის საბუღალტრო აღრიცხვის დაყენებასა და გამოოლაში დახმარების გასაწევად; უზრუნველყონ თვითურელ კოლმეურნეობაში წელიწადში ერთი დაკუმენტური რევიზიის და საბუღალტრო აღრიცხვისა და სატინანსო მეურნეობის ორი მიმღინარე შემოწმების ჩატარება, ამასთან, ამ საქმეში ჩააბან რაიფინგანის, სახბანეის განყოფილების, სახელმწიფო სტატისტიკის



ინსპექტორის, „საქსოფლტექნიკის“ და სხვა ორგანიზაციების უფლებამოსი კიბელისტები;

გ) განიხილონ იმ კოლმეურნეობათა ბუღალტრების მუშაობის საკითხი, სადაც აღრიცხვა ჩამორჩება; დახმარება გაუწიონ მათ მოწინავე ბუღალტრების მეშვეობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესცვალოს სუსტი შუშაკები, ამასთან შემოილონ პრაქტიკაში კოლმეურნეობათა მთავარი (უფროსი) ბუღალტრების ყოველობის კემინარის ჩატარება საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესების საკითხებზე;

დ) რჩევა მისცენ კოლმეურნეობათა გამგეობებს ყოველკარტალურად მოისმინონ გამგეობის სრდომაზე მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ანგარიში აღრიცხვის მდგომარეობაზე, განახორციელონ კონტრტული ღონისძიებანი მისი ჩამორჩენისა და დარღვევების აღმოსაფხრელად;

ე) სარევიზიო კომისიების მეშვეობით უზრუნველყონ თვითონეულ კოლმეურნეობაში ყოველკარტალური ჩევიზიების ჩატარება და რევიზიის შედეგების კოლმეურნეთა საერთო კრებაზე განხილვა;

ვ) სისტემატური მუშაობა აწარმოონ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების, პირველ რიგში მათი თავმჯდომარეების მოკლევადიან დასწრებულ ან დაუსწრებელ კურსებზე კეთილფიციალის ამაღლებისათვის;

ზ) რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს მთავარი (უფროსი) ბუღალტრისა და მისი მოაღვილის თანამდებობაზე პირველ რიგში დანიშნონ უმაღლესი ან საშუალო საბუღალტრო-კონომისტი განთაღების მქონე პირები; მათი დანიშვნა ან სამუშაოდან განთავისუფლება აწარმოონ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით და საწარმოო სამმართველოს თანხმობით;

თ) შემოილონ პრაქტიკაში კოლმეურნეობის წლიური და კვარტალური ანგარიშებისა და საწარმოო-საფინანსო გეგმის განხილვა საწარმოო სამმართველოში რაიტინგების, „სოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებისა და სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტურის წარმომადგენერალთა მონაწილეობით.

2. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს დასკვნით და საერთო კრების დადგენილებით კოლმეურნეობის მთავარი (უფროსი) ბუღალტრებს აღრიცხვის კარგად დაყენებისათვის მიეცეს წლის ბოლოს შრომის დამატებითი ანაზღაურება — იმ დამატებითი ანაზღაურების ნახევარი, რასაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე იღებს, ხოლო აღრიცხვის არადამაქმაყოფი-



ლებლად წარმოებისათვის, წლიური ანგარიშის ცული სარჩევს და დაგვიანებით შედგენისათვის წლიური შრომის ანაზღაუმის შემცირება ცირდეს 10 პროცენტამდე.

3. დაეცალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:

ა) 1964 წლის პირველ ნახევარში ჩიატერონ საწარმოო სამმართველოების საკოლმეურნეო აღრიცხვის ინსტრუქტორ-ბულალტრების ატესტაცია;

ბ) სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და დამტკიცონ დებულება საწარმოო სამმართველოს საკოლმეურნეო აღრიცხვის ინსტრუქტორ-ბულალტრების მუშაობის შესახებ;

გ) მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიონ საწარმოო სამმართველოებს კოლმეურნეობებში საბულალტრო აღრიცხვისა და საფასანსა ჟეკრნეობის გაძლილის, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის, საკოლმეურნეო მიწების აღრიცხვის, შემოსავლის განაწილების და ორგანიზაციებთან, პირებთან და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების მოწესრიგებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოაღვილე პ. ჩოგოვაძი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოაღვილე დ. ჩიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 7 სექტემბერი, № 574.

153 მეცნიერებისათვის „მეცნიერეობის ოსტატის“ წოდების მინიჭების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება მეცნიერებისათვის „მეცნიერეობის ოსტატის“ წოდების მინიჭების შესახებ, შემუშავებული სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და შეთანხმებული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, უხერის პროდუქტიულობის მინიმალური მაჩვენებლების შემთხვევი ცვლილებებით.



საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეცნიერებების
ცხვრის სულაფობის სამომთაბარი შენახვის პირობების შეტყობინება

დებით:

პროდუქტიულობის მაჩვენებლების მიხედვით, ბატუნების გა-
მოზრდა ასხლერამდე ყოველ 100 ნერბზე: ნაშმატყლიან — მესე-
მატყლიანი ნახვარი ნახევრადნაზი მატყლით — 105 ბატყანი 110
ნაცვლად, ნახევრადმქისემატყლიანი — 100 ბატყანი 110 ნაცვლად,
ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშები — 100 ბატყანი 110 ბატყნის ნაც-
ვლად, თუმცი ცხვრის ჯიშის — 98 ბატყანი 100 ნაცვლად, და ყო-
ვლ 100 თხაზე — 105 თიკანი, დებულების პირობების თანახმად.

2. დავვალოთ იმ საწირიმოო სამმართველოების, კოლმეურნეობე-
ბისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომლებიც მე-
ცხვარების მისდევენ, ფართოდ განუმარტონ მეცხვარეებს ზემოაღ-
ნიშნული დებულება, გამოავლინონ მოწინავე მეცხვარეები, რომლე-
ბიც მთელი რიგი წლების შანბილზე აღწევენ მაღალ, მყარ მაჩვენებ-
ლებს და ღირსნია არიან „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდების მინიჭე-
ბისა, და ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 თებერვლისა წარუდგი-
ნონ მასალები მათ შესახებ საწირიმოო სამმართველოებს, რომლებ-
მაც თავის მხრივ, გულდასმით შემოწმების შემდეგ ყოველწლიურად.
არა უგვიანეს 1 მარტისა უნდა წარუდგინონ ეს მასალები საქართ-
ველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და
დამზადების სამინისტროს.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარ-
მოებისა და დამზადების სამინისტრომ შეამოწმოს მიღებული მასა-
ლები და დროულად წარმოუდგინოს ისინი განსახილველად საქართ-
ველოს სსრ მინისტროთ საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე პ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე დ. გიმიაზვილი.

დაგენერაცია
საქართველოს სსრ პინაკის მინისტრის
1963 წლის 12 სექტემბრის № 392
დადგენილებით

დ ი ბ უ ლ ე ბ ა

კოლმეურნეობების, ხაბჭოთა მეურნეობების და ხევა მეურნეობების
მეცხვარეობისათვის „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდების
მინიჭების წესის შესახებ

„მეცხვარეობის ოსტატის“ წოდება ენიჭება კოლმეურნეობების,
საბჭოთა მეურნეობებისა და ხევა მეურნეობების მოწინავე მეცხვა-
რებს, რომლებმაც მაღალი და მყარი მაჩვენებლები მოიპოვეს
ცხვრისა და ოხის პროდუქტიულობის ამაღლებაში, ფარის კვლავ-
წარმოების და სულადობის შენარჩუნების საქმეში, შესაბამისად
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 თებერვლის № 129
დადგენილებისა „რსფსრ ჩრდილოეთ-დასავლეთ, ცენტრალურ, ცენ-
ტრალურ-შინიკადაგიან, კოლგა-ვიატსკის, ურალის რაიონების და
შუა-კოლგისპირეთის რაიონების, ტყე-ველის რაიონების, კოლგი-
პირეთის რაიონების, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის
სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ კოლმეურნეობებსა და საბ-
ჭოთა მეურნეობებში მეცხვარეობის განვითარების ზომების შე-
სახებ“.

„მეცხვარეობის ოსტატის“ წოდებას მეცხვარებს ანიჭებს საქარ-
თველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ სოფლის მეურ-
ნეობის პროდუქტების წარმოებისა და დაშალების სამინისტროს
წარდგენით, დაწყებული 1963 წლიდან.

1. „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდება მიენიჭება კოლმეურნეო-
ბების, საბჭოთა მეურნეობებისა და ხევა მეურნეობების მოწინავე
მეცხვარეებს, რომლებმაც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მაღა-
ლი და მყარი მაჩვენებლები მოიპოვეს ცხვრის სულადობის პროდუქ-
ტიულობის ამაღლებაში. საქართველოს სსრ პირობებთან შეცარდე-
ბით ცხვრის პროდუქტიულობის მინიმალური მაჩვენებლები „მე-
ცხვარეობის ოსტატის“ წოდების მინიჭებისათვის შემდეგია:



შეცნარებისათვის „შეცნარეობის თხტატის“ წოდების შემჩენებულება
ლად ხაჭირო ცნერის პროდუქტიულობის მაჩვენებლების გვერძების
ლოს ხერ კოლეგიურნეობებისა და ხაბორთა მფურნეობების მიხედვით:

မြေဖွေဆာရှုရွေ့ပါဝါစာတွင် „မြေဖွေဆာရှုရွေ့ပါဝါ ၁၁၄၁ခုပါ“ ဖြစ်လေ့ပါသော မီစာနိဒ္ဒ-
ဗုဒ္ဓ စာအိုက် တော်ပါဝါ ပြုလေ့ရှိခဲ့ပါသော မာနိဒ္ဒနိဒ္ဒလျှော် စာနှုန်းဖြစ်ပါသည်။

ოხის ქვედა (სქესი და მაცევები)	კრიტიკული მინიჭებულება		
	თემის გამოს- რიცა მისამართის და მაცევების 100 არაზე	მატებულის მასა- რის და თემის კის მაცევები კრ	
აღვილობრივი ქართული და შეკრული კიბის თემები	დედა თხა დედალი თემანი 1 წლის ქაყა მატებული თემანი 1 წლის	105 — — —	1.3 0.7 2 1



- შენიშვნები:**
- მატულის საშუალო ნაპარის და თუთიკის ნაწერის უძრავი გამოყენების დაწესებულია ფაქტურად გამარსული ცხერისა და მიზნობრივი ცალით;
 - ასხლეტამდე გამოხსრდილი ბატუნის ტალავენობა გამოითვლება ფარაში წლის დამდეგისათვის არსებული ნერძების რაოდენობის მიხედვით;
 - მაკვ ფაშატის შრატის გამოცვენებისას ყოველ 100 ნერძე და წესებული ბატუნის გამოსავლიანობა დიდება 10-15 პროცენტი;
 - მეცნევარეგბისათვის, რომელიც ნაშმატულიან ჰერილებისა და ერკებულთა ფარას უკლარ, ბატულის საშუალო ნაპარის წესდება იმაზე 20-30 პროცენტით ნაკლები, რაც ერკემლებისათვისაა და წესებული;
 - ნაშმატულიანი და ნაბერადნაზმატულიანი ცხერის ნაპარის სანაშენე მეურნეობისა და სანაშენე ქარჩნის მეცვარეებისათვის ღიღება 5-10 პროცენტით;
 - მეცნევარეგბისათვის მიჩნილი ცხვრის სულადობის შენარჩუნება წლის განმივლობაში უნდა შეაჯდენდეს არა ნაკლებ 97 პროცენტს.

2. საბჭოთა მეურნეობაში თითო მეცვარეშე და მეცვარეთა ბრიგადაშე გაპიროვნებული ცხერის რაოდენობა წესდება არა ნაკლებ იმ ნორმისა, რაც გათვალისწინებულია დებულებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შუშების შრომის ინზლაურების შესახებ, ხოლო კოლმეურნეობებში — ნორმები წესდება კოლმეურნეობის გამეობის გადაწყვეტილებით.

3. მეცნევარეებში, რომელსაც „მეცნევარეობის ოსტატის“ წოდება ენიჭებათ, კატგად უნდა იცოდნენ ცხვრის კერძისა და მოელპატრიონობის მიზანთადი წესები, ხელოვნური განაყოფიერებისა და დოლიანობის ჩატარებისა და მოზარდეულის გამოზრდის ორგანზაცია და ტექნიკა, აგრეთვე ძირითად სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება ცხვრის შესანარჩუნებლად.

4. მეცხვარეები, რომლებმაც „მეცხვარეობის ოსტატურაზეთვაზე“ მისანიჭებლად საქირო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს, კულტურული არეატაციას იმ მეურნეობებში, სადაც ისინი მუშაობენ. მეცხვარეების ატესტაციას აწარმოებს კომისია, რომლის შემაღებაშია მეურნეობის ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტები, პარტიული, კომავშირული და პროფესიონალული ასახულისტების წარმომადგენლები.

5. კოლეჯურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ხელმძღვანელები არა უგვიანეს 1 თებერვლისა წარადგენ საწარმოო სამმართველოებში მასალებს „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდების მისანიჭებლად იმ მეცხვარეებისათვის, რომლებმაც თავიანთ მუშაობაში მიაღწიეს დაწესებულ მაჩვენებლებს და გაიარეს ატესტაცია. საწარმოო სამმართველოები იმ მასალებს წარუდგენენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს არა უგვიანეს 1 მარტისა.

6. მეცხვარეებს, რომლებსაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ მიანიჭე „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდება, ეძლევათ დაწესებული ნიმუშის მოწმობა. ეს მოწმობა წარმოადგენს საფუძველს მეცხვარეებისათვის შრომის ანაზღაურების 20 პროცენტით გასაღიდებლად.

7. მეცხვარეებს, რომლებსაც წინათ ყოფილმა საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიანიჭე „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდება და ახლა აქვთ იმ დებულებით დაწესებული ცხვრის პროდუქტების არა ნაკლები მაჩვენებლები, აგრეთვე გაუდიდებათ ხელფასი 20 პროცენტით.

8. მეცხვარეებისათვის „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდების მისანიჭებლად საქირო მასალებს მეურნეობები წარადგენ თანდართული ფორმების მიხედვით:



წარდგენა „მეცნიერების თხრატის“ წოდების მიხანიჭებლად

გვარი	სახელი
შამის სახელი	
თანამდებობა	შუშაობის საერთო სტატი
რამდენი წელი მუშაობს მეცნიერედ	
დაბალების წელი	ეროვნება
განათლება	პარტიულობა
მუშაობის აღგილი	კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობა
საწარმოო სამმართველო	
რესპუბლიკა	
ამონაწერი საბჭოთა მეურნეობის მეცნიერის შრომის წიგნაკი- დან ან ცნობები კოლმეურნეობების მეცნიერის მუშაობაზე	
ამბ.	

ჩანაწერის თარიღი	ცნობები სამუშაოზე შემო- ბის, ერთი აღგილილან მე- ობებზე გადაყვანის და სა- მუშაოდან დათხოვნის შე- სახებ (მიზნის აღნიშვ- ნით)	ჩანაწერის საფუ- ძველი (საბუთი, შისი თარიღი და ნომერი)
წელი, თვე, რიცხვი		



შეცხვარეთა ბრიგადის მუშაობის მაჩვენებლები წლების შინელვით

ცხვრის ჭიში ——————

სქესი და ასაკი ——————

მაჩვენებლები	წლები				შენიშვნა
	1961	1962	ძრიგი	სპეციალური განვითარების კულტურული მუზეუმების მიზანის	
ცხვრის რაოდენობა 1 იან- ერისათვის (სულ)					შეცხვარეთა ბრიგადის მუ- შაობის 3 წლის მაჩვენე- ბლები, ხოლო კოლეგი- აცისა, ან სპეციალ მე- ტრანსობისა — უკანასკნე- ლი წლის მიხედვით
ცხვრის სელაფობის შენ- აგერების პროცენტი					
ცხვრის სელაფობის შენ- აგერების პროცენტი					
ნაძარის:					
ა) ფიზიკური წონით (ცენ- ტრიუმბით)					
ბ) ჩათვლითი წონით (ცენ- ტრიუმბით)					
ნაძარის თაოთ ცხვარზე:					
ა) ფიზიკური წონით					
ბ) ჩათვლითი წონით					
სულ ბატყანი ასხლეტაშე					
თვეთვეული სულის წონა ასხლეტაშე					
ბატყის გამოსაელიანობა 100 ნერბზე					

ამხ. —————— ღირსია მიენიჭოს „შეცხვარეობის ოსტატის“
წოდება.

საბჭოთა შეცხადების მუშაოთი კომიტეტის თავმდებომარე	საბჭოთა შეცხადების ღირებულები	მოსახლეობის ბრუნვის მარტივი განვითარების მდგრადი
	კოლეგიურობის თავ- მდებომარე მთავარი ზოორექნიკოსი	



საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შატარის მიერთება
და დამზადების სამინისტრო გილდიანი მიერთება

მოწმობა № —————

ეძლევა მეცხვარეს ამ. —————
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

რომელიც მუშაობს ————— საწარმოო სამშართველოს

საბჭოთა მეურნეობებში
კოლმეურნეობებში

მასზე, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 196 წლის
№ დადგენილებით მას მიენიჭა „მეცხვარეობის ოსტატის“ წო-
დება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების
წარმოებისა და დამზადების მინისტრი

(ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

154 საქართველოს სსრ სახალხო მცურნეობის საბჭოს მიმღერაგები
ბისა და განალების მთავარი სამშაროთველოს (მთავარი სამართლებრ
ება) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარიგება-გასალების მთავარი სამმართველოს (მთავარმარიგებასალება) შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე პ. ჩოგოვაძი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილუ დ. გირიავალი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 17 სექტემბერი, № 603

ପାଇଁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

卷之三

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხაბურს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამშართველოს (მთავარმარაგებასაღება) შესახებ

I. მოგავით გებულებანი

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო (მთავარმარაგისაღები), რომელიც შემქნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 მარტის № 228 დადგენილების საფუძველზე, წარმოადგენს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენელ ნაწილს.
 2. მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებითა და განკარგულებით, აგრეთვე ამ დებულებით.



3. მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოში უკუკუჭაჭერი
შიანობის ახორციელებს სამეურნეო ონგარიშის საწყის ტექნიკური მარკა

4. მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს სტრუქ-
ტურას და მისი ორგანიზაციების ქსელს ამტკიცებს საქართველოს
სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

5. მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს შემაღ-
ელობაში შედიან პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების შემ-
დევი სპეციალიზებული სამმართველოები და მატერიალურ-ტექნი-
კური მომარაგების სხვა ორგანიზაციები:

ქვეანახშირის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასა-
ღების სამმართველო (ქვეანახშირმარაგებასაღება),

შევი და ფერადი მეტალურგიისა და ლითონის პროდუქციის მო-
მარაგებისა და გასაღების სამმართველო (ლითონმარაგებასაღება),

ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის პრო-
დუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ელექტრო-
მარაგებასაღება).

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების
სამმართველო (ქიმიარაგებასაღება),

მანქანიამშენებლობის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა
და გასაღების სამმართველო (მანქანმარაგებასაღება),

სატყეო და ქალალდის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა
და გასაღების სამმართველო (ტყექალალდმარაგებასაღება),

საშენ ვასალოთა მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და
გასაღების სამმართველო (შენმარაგებასაღება),

კეების მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების
სამმართველო (კეებმარაგებასაღება),

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის მომარაგე-
ბისა და გასაღების სამმართველო (მსუბუქმარაგებასაღება),

რეინიგზის ჩიხებისა და სასაწყობო შენობათა რემონტის სამშე-
ნებლო სამმართველო,

ფერტრომარაგებასაღების კანტორა,

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოსკოვის განყოფილება,

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ქუთაისის სარაიონთაშო-
რისო კანტორა.

6. მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოს აქც ბეჭე-
დი, რომელზეც გამოსხულია საქართველოს სსრ სახელშიც გერბი
და თავისი სახელშიც დება.

7. მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო იმყოფება
ქ. თბილისში.



II. ამოცანები და საქმიანობა უროვნეული
განვითარება

8. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამშართველოს მოცანებია:

ა) მომარაგოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა ყველა სახეობის ნედლეულით, მასალებით, საობობითა და მოწყობილობით, გამოყოფილი ფონდების ფარგლებში, აგრეთვე გაასაღოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ გამომუშებული მოელი პროდუქცია; უზრუნველყოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მიწოდების დავალებათა შესრულება, განვითაროს და განამტკიცის მიწოდებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის პროდაპირი კავშირი, აგრეთვე უზრუნველყოს სხვა ეკონომიკური რაომებისათვის, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, ექსპორტისათვის, სახელმწიფო რეზერვისათვის და სხვა სპეციალური და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის დროული მიწოდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული სარესპუბლიკა-თშორისო მიწოდებათა მთავარი სამშართველოების მითითებებისა და განრიგების საფუძველზე;

ბ) განახორციელოს კონტროლი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მატერიალური რესურსების სწორად გამოყენებისაღმი, გამოავლინოს ზედმეტი, არასაჭირო, ზენორმატიული და არასალიკვიდაციო მასალები, მოწყობილობა და მზა ნაკეთობანი, აგრეთვე დანარჩება აღმოჩენის ორგანიზაციებსა და საწარმოებს ამ მატერიალური რესურსების დაწესებული წესით რეალიზაციაში; შეადგინოს ზედმეტი მასალებისა და მოწყობილობის გადანაწილების გეგმები.

9. ამ დებულების მე-8 მუხლში ჩიმოთვლილი ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამშართველოს ეკისრება:

ა) შეადგინოს და დაიცვას ნედლეულზე, მასალებსა და მოწყობილობაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა განაცხადები და გაანგარიშებანი პროდუქციის იმ ნომენკლატურით, რომლის მიხედვითაც ფონდების განაწილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარმარაგებასაღებას, და გადაანაწილოს პროდუქციის ამ ნომენკლატურით გამოყოფილი



ფონდები ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს შორის რიცხვული
ბ) შეაღინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სამინისტრო
საქართველო სამმართველოსთან, სამთამაღნო მრეწველობის სამმართვე-
ლოსთან და ტექნიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, საქართვე-
ლოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით მატერიალურ-ტექნი-
კური მომარავების პრესკეტიული და მიმდინარე (წლიური) გეგმები,
იმ გეგმებისა და განაცხადების საფუძველზე, რომლებსაც წარმოად-
გენენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი უშუა-
ლოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციები, და მონაწილეობა მიიღოს
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სსრ კავშირის
სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ განსახილველი გეგმების და-
ცვაში;

გ) წარუდგინოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან
ასებულ სარესპუბლიკათშორისო მიწოდებათა მთავარ სამმართვე-
ლოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე მო-
კავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს და მთა-
ვარმარავებასაღებებს შეჯამებული სპეციფიკური გეგმები, რომლებიც აუ-
ცილებელია დაკვეთების განაწილებისათვის და მიმწოდებლებზე მო-
მხმარებლების მიმართებისათვის;

დ) შეიმუშაოს საწარმოო სამმართველოსთან, სამთამაღნო მრეწ-
ველობის სამმართველოსთან და ტექნიკურ სამმართველოსთან ერ-
თად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის გამოყო-
ფილი მასალების, მოწყობილობის, ნაკეთობების, სათბობის ფონდე-
ბის დარგობრივი სამმართველოების, სახალხო მეურნეობის საბჭოსა-
დმი უშუალოდ დაქვემდებარებული ტრესტებისა და ორგანიზაციე-
ბის მიხედვით განაწილების გეგმები, და ეს გეგმები წარუდგინოს
სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელობას დასამტკიცებლად;

ე) აწარმოოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისათვის გა-
მოყოფილი მასალების, მოწყობილობის, ნაკეთობების, სათბობისა
და სატრანსპორტო საშუალებათა ფონდების რეალიზაცია, კონტრო-
ლი გაუწიოს ფონდის მქონე ცალკეული ორგანიზაციების მიერ ფონ-
დების რეალიზაციის საქმეს;

ვ) მონაწილეობა მიიღოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარ-
მოო და ტექნიკური სამმართველოების მიერ მასალათა ხარჯების ნორ-
